

# საქართველოს მთავრობის

დადგენილება №672

2020 წლის 9 ნოემბერი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – ალგეთის ეროვნული პარკის, დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლის, ბირთვისის ბუნების ძეგლისა და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე

## მუხლი 1

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტისა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – ალგეთის ეროვნული პარკის, დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლის, ბირთვისის ბუნების ძეგლისა და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლის მენეჯმენტის გეგმა“.

## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია



**ტექნიკური რეგლამენტი – ალგეთის ეროვნული პარკის, დაშბაშის კანიონის ბუნების  
ძეგლის, ბირთვისის ბუნების ძეგლისა და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლის  
მენეჯმენტის გეგმა**

**თავი I**

**შესავალი**

**მუხლი 1. მენეჯმენტის გეგმის მიზნები და მოქმედების ტერიტორიული სფერო**

1. წინამდებარე მენეჯმენტის გეგმა შემუშავდა ალგეთის ეროვნული პარკისათვის, დაშბაშის კანიონის, ბირთვისისა და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლებისათვის (შემდგომში – „ალგეთის დაცული ტერიტორიები“). მენეჯმენტის გეგმა შემუშავდა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებისა და „დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებისა და პროცედურის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 მარტის №110 ბრძანებით დამტკიცებული „დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებისა და პროცედურის“ შესაბამისად.
2. მენეჯმენტის გეგმის მიზანს წარმოადგენს ალგეთის დაცული ტერიტორიებისათვის გრძელვადიანი მიზნებისა და მართვის შესაბამისი მიდგომების განსაზღვრა, ალგეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის ძალაში ყოფნის პერიოდში.

**მუხლი 2. ალგეთის დაცული ტერიტორიების მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩოს აღწერა**

ალგეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმას სამართლებრივ საფუძვლად დაედო: „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ და „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონები და მოქმედი კანონმდებლობა.

**მუხლი 3. ალგეთის დაცული ტერიტორიების შექმნის ძირითადი მიზნები**

1. ალგეთის ეროვნული პარკის შექმნის მიზანია ამ ტერიტორიაზე ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნება; კერძოდ კი, აღმოსავლური ნაძვისა (*Picea orientalis*) და კავკასიური სოჭის (*Abies nordmanniana* (Stev.) Spach) გავრცელების უკიდურესი აღმოსავლეთ საზღვრის დაცვა მცირე კავკასიაში, აგრეთვე აქ გავრცელებული ეკოსისტემების, ჰაბიტატებისა და სხვა დაკავშირებული სახეობების დაცვა, მოვლა-პატრონობა.
2. დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლის შექმნის მიზანია იქ არსებული უნიკალური გეოლოგიური წარმონაქმნებისა და ჰიდროლოგიური ობიექტების დაცვა.
3. ბირთვისის ბუნების ძეგლის შექმნის მიზანია იქ არსებული ულამაზესი გეოლოგიური წარმონაქმნების, ისტორიული არტეფაქტებისა და „წითელი ნუსხის“ სახეობების დაცვა.

4. სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლის შექმნის მიზანია იქ არსებული უნიკალური გეოლოგიური წარმონაქმნების დაცვა.

5. ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებული ეკოსისტემების გრძელვადიანი დაცვა და აღდგენა ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ალგეთის დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის მიერ ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას და ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე და მის მიმდებარედ მდგრადი რეკრეაციული და ეკოტურისტული საქმიანობის განვითარებას; ასევე, მოსახლეობის გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლებას.

**მუხლი 4. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი**

1. მენეჯმენტის გეგმა შემუშავებულია „დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებისა და პროცედურის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 მარტის №110 ბრძანებით დამტკიცებული „დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებისა და პროცედურის“ სრული დაცვით, დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში – საქართველო (SPPA)-ს მხარდაჭერით, ეროვნული და საერთაშორისო კონსულტანტების გუნდის ხელშეწყობით, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

2. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი შემდეგი ეტაპებისგან შედგებოდა (ცხრილი 1):

*ცხრილი 1: ალგეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის შემუშავების ეტაპები*

№	თარიღი	აქტივობა
1	09-10.03.2017	სამუშაო შეხვედრა ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესის სამუშაო გეგმის შესათანხმებლად და ტრენინგის ჩატარება მენეჯმენტის გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის გაცნობის მიზნით
2	12-13.04.2017	ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ადგილობრივ სამუშაო ჯგუფთან და მრჩეველთა რეგიონულ საბჭოსთან, სადაც განიხილა მენეჯმენტის გეგმის I და II თავები, შემუშავდა გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, განიხილა ეროვნული პარკის ზონირების პირველადი ვერსია
3	07.06.2017	დაინტერესებულ მხარეებთან და ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად შემუშავდა მენეჯმენტის გეგმის პროგრამების ნაწილის მიზნები და ქმედებები
4	21.06.2017	დაინტერესებულ მხარეებთან და ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად შემუშავდა მენეჯმენტის გეგმის პროგრამების მეორე ნაწილი

5	07.2017	ივლისის თვეში გაიმართა 4 შეხვედრა ალგეთის ეროვნული პარკის მიმდებარე თემების მოსახლეობასთან (მანგლისი, შეხვეტილა, ჭინჭრიანი, არხოტი) ეროვნული პარკის ზონირების შემუშავება – შეთანხმების მიზნით.
6	09.11.2017	საერთაშორისო კონსულტანტების მონაწილეობით მომზადდა მენეჯმენტის გეგმის პირველი სამუშაო ვერსია და გადაეგზავნა დაცული ტერიტორიების სააგენტოს განსახილველად
7	11.05.2018	გაიმართა დოკუმენტის საჯარო განხილვა
8	06.2018	საჯარო განხილვის შემდეგ, გათვალისწინებულ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მოსაზრებები, რის საფუძველზეც შეიქმნა მენეჯმენტის გეგმის დასრულებული ვერსია

### **მუხლი 5. მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდი**

მენეჯმენტის გეგმა ძალაშია მისი დამტკიცებიდან მომდევნო 9 წლის განმავლობაში, გარდა მენეჯმენტის გეგმის 39-ე და მე-40 მუხლებისა და №18 და №19 დანართებისა, რომლებიც ძალაშია ახალი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებამდე.

### **მუხლი 6. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა და განახლება**

1. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. მენეჯმენტის გეგმის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს მეცხრე წლის პირველი კვარტლისა, დაცული ტერიტორიების სააგენტო დაიწყებს ახალი მენეჯმენტის გეგმის მომზადებას, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იქნება მიღებული.

## **თავი II. ალგეთის დაცული ტერიტორიების აღწერა**

### **მუხლი 7. ადგილმდებარეობა და ფართობი**

1. ალგეთის ეროვნული პარკის ფართობი 8 768 ჰა-ს შეადგენს და მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონში, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტებში. იგი მოიცავს მდინარე ალგეთის სათავეებს თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე, ზღვის დონიდან 1100 – 2019 მ. სიმაღლეზე. უმაღლესი წერტილია მთა კლდეკარი (2019 მ.).
2. ალგეთის ეროვნულ პარკს ესაზღვრება: ჩრდილოეთით – კასპის მუნიციპალიტეტი და დაბა მანგლისის მიწის ნაკვეთები, აღმოსავლეთით – სოფელ თონეთის მიწის ნაკვეთები, სამხრეთით – მანგლისის მიწის ნაკვეთები და თბილისი – წალკის საავტომობილო გზის ნაწილი, დასავლეთით – დაბა მანგლისის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ შეხვეტილის ადმინისტრაციული ერთეულისა და წალკის მუნიციპალიტეტის მიწის ნაკვეთები (დანართი 1).
3. დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლი მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხრამის (ქცია) ხეობაში, სოფელ დაშბაშის მიდამოებში, მისგან 0,5 კმ-ის დაშორებით (დანართი 1). დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლის ფართობია 538 ჰა.
4. სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლი მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ სამშვილდის მიდამოებში, სამშვილდის ნაქალაქარის მიმდებარედ, მდინარე ხრამის და ჭიკვაჭის ხეობებში (დანართი 1), სამშვილდიდან 0.8 კმ-ში. სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლის ფართობია 405 ჰა.
5. ბირთვისის ბუნების ძეგლი მდებარეობს თრიალეთის ქედის ქვედა სამხრეთ ფერდობზე, სოფლების ტბისისა და ფარცხისის მიდამოებში (დანართი 1). მისი ფართობი 514,8 ჰა-ს შეადგენს.

## **მუხლი 8. ალგეთის დაცული ტერიტორიების ადგილმდებარეობა ეროვნულ დონეზე**

1. ალგეთის ეროვნული პარკი საქართველოში ამჟამად არსებული 11 ეროვნული პარკიდან ერთ-ერთია. ქვემო ქართლის რეგიონში, ალგეთის ეროვნული პარკისა და წინამდებარე მენეჯმენტის გეგმაში მოცემული 3 ბუნების ძეგლის გარდა, ასევე მდებარეობს გარდაბნის აღკვეთილი და თბილისის ეროვნული პარკის ნაწილი (დანართი 2).
2. ალგეთის ეროვნულ პარკს გააჩნია მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ფუნქცია, რადგანაც იგი უზრუნველყოფს ეკოლოგიურ კავშირს; ის მცირე კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებს შორის ერთგვარი ხიდის როლს ასრულებს, რომელიც ხელს უწყობს ტყის ჰაბიტატებისა და სახეობების გავრცელების მნიშვნელოვანი არელების დაცვას.
3. დაშბაშისა და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლები, ასევე ბირთვისის ბუნების ძეგლი საქართველოში არსებული 40 ბუნების ძეგლის ნუსხაში შემავალი 3 ძეგლია. მათი საკონსერვაციო მნიშვნელობა, ძირითადად, მდგომარეობს იქ არსებული ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვაში. დამაკავშირებელი ფუნქცია შეზღუდულია მათი ზომის სიმცირის გამო.

## **მუხლი 9. ალგეთის დაცული ტერიტორიების ისტორია**

1. ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალი შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის №205 დადგენილებით და მისი ტყეები გამოცხადდა როგორც ფლორის, ასევე ფაუნის კომპლექსურ ნაკრძალად. ნაკრძალის ფართობი შეადგენდა 6 400 ჰა-ს.
2. 2007 წლის 22 ნოემბერს „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, შეიქმნა ალგეთის ეროვნული პარკი, მცირე კავკასიონის აღმ. ნაწილის აღმოსავლური ნაძვისა (*Picea orientalis*) და კავკასიური სოჭის (*Abies nordmanniana* (Stev.) Spach) გავრცელების უკიდურესი აღმოსავლეთი საზღვრის დაცვის, აგრეთვე აქ გავრცელებული სხვა მერქნიანი სახეობების, სხვადასხვა ტიპის ფლორის წარმომადგენლებისა და ფაუნის დაცვის, მოვლა-პატრონობის მიზნით.
3. 2016 წელს ჩატარებული დემარკაციის შედეგად, ალგეთის ეროვნული პარკის მთლიანი ფართობი 6 822 ჰა-დან გაიზარდა 8 768 ჰა-მდე.
4. 2013 წლის 20 ნოემბერს, „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, შეიქმნა, შესაბამისად, დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლი და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლი.
5. 2016 წელს, „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ №4735-III კანონით (17/02/2016) „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, შეიქმნა ბირთვისის ბუნების ძეგლი.

## **მუხლი 10. გეოლოგია და ჰიდროლოგია**

### **1. რელიეფი:**

- ა) ალგეთის ეროვნული პარკი მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთ ფერდობებზე მდინარე ალგეთის ხეობაში. იგი განლაგებულია შემდეგი მორფოლოგიური რაიონების ტერიტორიაზე:
  - ა.ა) თრიალეთის ნაოჭა მთათა სისტემის რაიონი;
  - ა.ბ) ბედემისა და ლაკვისის მთების ვულკანური რაიონი;

ბ) ალგეთის ხეობის გეოლოგიური აგებულება, ისევე როგორც მთელი თრიალეთის ქედისა, რთულია და მრავალფეროვანი. ის წარმოდგენილია მთაგორიანი და გორაკ-ბორცვიანი რელიეფით (დანართი 3).

გ) ეროვნული პარკის ტერიტორიის ოროგრაფიულ საფუძველს ქმნის საშუალო სიმაღლის მთები, თავიანთი განშტოებებითა და გორაკ-ბორცვიანი მთისწინებით. ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მოქცეულია შემდეგი მთები: ჯვრის (1,300 მ), თაგარჯინას (1,448 მ), ლაკვისის (1,750 მ), ბედემის (1,750 მ), მამიდას ქვის (1,815 მ), შიხანის (1,900 მ), კუნწუხის (1890 მ) მთები და კლდეკარის (2,019 მ), რომლებიც მდებარეობენ პარკის ჩრდილო-აღმოსავლეთით და რომლებიც ხასიათდებიან რელიეფის დასერილობით. ისინი საშუალო და დიდი დაქანების ფერდობებითაა წარმოდგენილი. **კლდეკარის მასივი** შუაეოცენური ვულკანოგენური ქანებით აგებული განედურად გადაჭიმული კლდოვანი მასივია, რომელიც მდებარეობს ზ.დ. 1,800-2,019 მ სიმაღლეზე. მასზე მდებარეობს ისტორიული კლდეკარის ციხე და კლდეკარის უღელტეხილი. ეს უღელტეხილი, რომელიც ისტორიულად კლდეკარის სახელითაა ცნობილი, მეტად საინტერესო ბუნებრივი ფენომენია, ვინაიდან არაერთგვაროვანი სიმტკიცის ქანების დენუდაციის შედეგად, იგი დერეფნის სახითაა ბუნებრივად გაჭრილი თრიალეთის ქედის თხემზე.

დ) კლდეკარის მასივი წარმოადგენს ალგეთის ეროვნული პარკის ძირითად გეომორფოლოგიურ ღირებულებას.

ე) **დაშბაშის კანიონის** ბუნების ძეგლი წარმოადგენს მდინარე ქციის მიერ დაშბაშის ლავურ მაღლობზე, ვულკანოგენურ ქანებში ჩაჭრილ კალაპოტში გამომუშავებულ იშვიათ და ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ კანიონისებურ ხეობას, რომელიც მდიდარია ჩანჩქერებით და მიწისქვეშა წყლებით.

ვ) **სამშვილდის კანიონის** ბუნების ძეგლი, მდ. ხრამის (ქცია) ლავურ ქანებში გამომუშავებული ღრმა კანიონისებრი ხეობაა, მდ. ჭივჭავის კანიონთან ერთად. სამშვილდის კანიონისთვის დამახასიათებელია გაშიშვლებული კვარცხორფირის ქანები. ბუნების ძეგლი მოიცავს 5-6 კილომეტრის სიგრძის მდ. ხრამის კანიონს და 3-4 კილომეტრის სიგრძის მდ. ჭივჭავის კანიონს. კანიონის ჩაჭრის სიღრმე საშუალოდ 300 მ-ია.

ზ) **ბირთვისის ბუნების ძეგლი** ხასიათდება ძლიერ დანაწევრებული ზედაპირით, კლდოვანი უბნების კომპლექსით, წაწვეტებული, ვერტიკალურად აღმართული კლდოვანი სვეტებით. იგი დაღარულია ღრმა ხეობებით. ეს ყველაფერი ერთად ქმნის დამახასიათებელ რელიეფს და ამ ადგილს განსაკუთრებით გამოარჩევს. კლდოვანი უბნების სიუხვის მიუხედავად, არის მცირე ზომის სწორი ზედაპირებიც. ნაკლებ ციკაბო ფერდობები ტყიანია, თუმცა ასეთ ადგილებში მაღალია გამეჩხერებული და შედარებით მშრალი მცენარეული საფარის ხვედრითი წილი, აქვე წარმოდგენილია კლდის ქსეროფიტები. ტერიტორია აგებულია მტკიცე წყებებით (ეოცენის პორფირიტები, ტუფბრექჩიები), რაც ქმნის კლდოვან მასივებს, თხემებისა და კლდოვანი მწვერვალების სიუხვეს, მთიან ლაბირინთებს. ბირთვისის ბუნების ძეგლის ძირითადი ღირებულებაა საინტერესო რელიეფი, წარმოდგენილი უჩვეულო ფორმის გაშიშვლებული კლდის სვეტებითა და ღრმა კანიონებით, შერწყმული მე-18 საუკუნის ბირთვისის ციხე-ქალაქის ნაშთებთან.

## 2. ნიადაგები:

ეროვნული პარკის მრავალფეროვნებამ, გეოლოგიურმა აღნაგობამ, ჰავის ხასიათმა და მცენარეული საფარის ნაირსახეობამ განაპირობა ისეთი ნიადაგური საფარი, რომელიც მნიშვნელოვანი სირთულით ხასიათდება. ეროვნული პარკის ტერიტორია მიეკუთვნება საშუალო მთიანი ტყის ყავისფერი, მთა-ტყის ყავისფერი ყომრალი, ნემომპალა კარბონატული და ნაწილობრივ მთა-მდელოს ნიადაგების რაიონს.

## 3. ჰიდროგრაფია

ა) ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის საშუალო წლიური ჩამონადენი (5-10 ლ/წმ) შედარებით დაბალია და წყალმცირე რეგიონად ითვლება. მთავარი მდინარეული არტერია – მდ. ალგეთი, წყალუხვია მხოლოდ გაზაფხულზე, რაც უკავშირდება თოვლის დნობასა და უხვ ნალექებს წლის ამ პერიოდში.

ბ) მდინარე ალგეთის სიგრძე ეროვნული პარკის ტერიტორიაზე 20 კმ-ს შეადგენს. იგი სათავეს კლდეკარის ძირიდან იღებს და მიედინება სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჯერ დიდი დაქანების უტყეო ფერდობებზე, შემდეგ კი – ტყიან ნაწილში. ეროვნული პარკის ტყეების უმეტესი ნაწილი სწორედ მდინარე ალგეთის აუზის ზედა სარტყელში მდებარეობს. მდინარე ალგეთის შენაკადები (საყავრე, თხინვალა, კუნწუხი და ფილიპე) ტიპური მთის ხევებია, რომლებიც წყლის დონის დიდი მერყეობით ხასიათდებიან. რელიეფი, დიდი დანაწევრების გამო, ძლიერ ეროზიულია, რის გამოც კარგადაა გამოხატული ძველი მოსწორებული ზედაპირები და მაღალი მდინარეული ტერასები (დანართი 4).

გ) ზედაპირული წყლები ეროვნული პარკის ერთ-ერთ ძირითად ბუნებრივ სიმდიდრეს და ღირებულებას წარმოადგენს. აქ წარმოდგენილია პატარა მუდმივი მდინარეების საკმაოდ დიდი რაოდენობა. ასევე, ტერიტორიაზე წყლის რესურსებს შეადგენს უამრავი პატარა ღელე, წყარო. მდინარეებისა და ღელეების საზრდოობის წყაროებია თოვლის, წვიმის წყლები და მცირე რაოდენობის ბუნებრივი წყაროები.

დ) ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აღინიშნება მხოლოდ რამდენიმე ბუნებრივი წყარო, რომელთა შორის აღსანიშნავია: დედოფლის წყარო, ვაჟას წყარო და სხვა.

ე) **სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლის** ტერიტორიაზე მიედინება მდინარე ხრამი, რომლის შენაკადებიდან აღსანიშნავია მდინარეები: ასლანკა, ჭივჭავი, თეთრწყაროსწყალი, ახკალაფისწყალი და სხვ. აღნიშნული მდინარეები, ძირითადად, საზრდოობენ წვიმის წყლით და მდებარეობენ ბუნების ძეგლის საზღვრებს გარეთ. წყალდიდობა გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისშია, წყალმცირეობა კი შემოდგომა-ზამთარში.

ვ) **ბირთვისის ბუნების ძეგლის** ტერიტორიაზე მიედინება მდინარე მოხვრინავის შენაკადი, რომელსაც თბილწყაროს წყალს უწოდებენ. აღნიშნული მდინარე უერთდება მდინარე ალგეთს ქვედა დინებაში. ბირთვისის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზეა ტბისის ხევი, თავისი პატარა შენაკადებით.

ზ) **დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლი** ხასიათდება ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელით. მთავარი მდინარეა ქცია, რომელსაც გააჩნია მრავალრიცხოვანი პატარა შენაკადები ბუნების ძეგლის საზღვრებს მიღმა: ოზნი, თარსონი, ტუსრები და სხვ. აღნიშნული მდინარეების კვებაში მონაწილეობენ თოვლის, წვიმის და მიწისქვეშა წყლები. დაშბაშის კანიონისათვის დამახასიათებელია უხვი რაოდენობის წყაროები და ჩანჩქერები.

## **მუხლი 11. კლიმატი**

1. ალგეთის ეროვნული პარკისთვის დამახასიათებელია ნოტიოდან კონტინენტურისაკენ გარდამავალი კლიმატი, ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. ატმოსფერული ნალექები მაქსიმალურია გაზაფხულზე.

2. მიკროკლიმატი ეროვნული პარკის ტერიტორიაზე რელიეფის დიდი უსწორმასწორობისა და დანაწევრების გამო ძლიერ ცვალებადია. კორძახიას (1961 წ.) სქემის მიხედვით, ეროვნული პარკის კლიმატი თანხვედება სამ კლიმატურ ზონას (დანართი 5):

ა) მაღალმთის სტეპური კლიმატი ცივი მცირე თოვლიანი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით;

ბ) ზომიერად ნოტიო კლიმატი ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით;

გ)ზომიერად ნოტიო კლიმატი ცივი ზამთრით და ხანგრძლივი ცივი ზაფხულით.

3. ალგეთის ეროვნული პარკისათვის ზამთარი ხასიათდება მცირე თოვლიანობითა და ხშირი ყინვებით. ყველაზე დაბალი ტემპერატურა დაფიქსირდა დეკემბერში დღისით (-11 C°) და თებერვალში ღამით (-16 C°). ყველაზე თბილი თვეებია ივნისი, ივლისი და აგვისტო. ყველაზე მაღალი ტემპერატურა ფიქსირდება ივლისში დღისით (+32 C°) და აგვისტოში ღამით (+ 16 C°). აღნიშნულ თვეებზე მოდის ტემპერატურის მაქსიმალური მაჩვენებლები. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 912 მმ-ს.

4. ეროვნული პარკისთვის დამახასიათებელია ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ძლიერი ქარები, რომლებიც ძირითადად ზამთარსა და შემოდგომაზეა.

## მუხლი 12. ლანდშაფტები და ჰაბიტატები

1. ალგეთის ეროვნული პარკის ძირითადი ლანდშაფტებია:

ა) ქვედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი მუხნარი (ქართული მუხის), რცხილნარ-მუხნარი, ზოგან ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვის) ტყეებით;

ბ) საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური წიფლნარი, რცხილნარ-მუხნარი (ქართული მუხის), რცხილნარი ტყეებით და ტყის შემდგომი მდელოებითა და მდელო-ბუჩქნარებით;

გ) მაღალი ვულკანური პლატოს ლანდშაფტი სტეპისა და მდელო-სტეპის მცენარეულობით;

დ) საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი წიფლნარ-მუქწიწვიანი, ზოგან ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვი) ტყეებით;

ე) ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური არყის ხის, ზოგან ფიჭვის (კავკასიური ფიჭვის, კოხის ფიჭვის) ტყეებითა და მაღალმთის მუხის ტყეებით;

ვ) მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური სუბალპური ლანდშაფტი მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების კომპლექსით;

ზ) მაღალი მთის დენუდაციური სუბალპური ლანდშაფტი მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების კომპლექსით.

2. ზემოაღნიშნული ლანდშაფტების შესაბამისად ალგეთის ეროვნულ პარკში წარმოდგენილია ტყის შემდეგი ჰაბიტატები:

ა) სუბალპური წიფლნარი ნეკერჩხლის სახეობებით (*Acereto-Fagetum Fagetum*), წარმოდგენილია სუბალპური ტყეებისთვის დამახასიათებელი დაბალტანიანი, ტანბრეცილი წიფლით (*Fagus orientalis* Lipsky). ასევე გვხვდება შემდეგი სახეობები: მაღალმთის ბოკვი (*Acer trautvetteri* Medw.), მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera* R. et M.), ცირცელი (*Sorbus caucasigena* Kom.), წივანა (*Festuca drymeia* Huds.), ბარძამი (*Calamagrostis arundinacea* (L.) Roth), *Milium schmidtianum*, მთის პიტნა (*Calamintha grandiflora* (L.) Moench), ნემსიწვერა (*Geranium sylvaticum* L.) და სხვ.

ბ) მუხნარ-ჯაგრცხილნარი (*Iberica Quercetum-Carpinion orientale*), გვხვდება 600-1,000 მ ზღ.დ., წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: ქართული მუხა (*Quercus iberica* Stev.), ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis* Mill.), ქართული ნეკერჩხალი (*Acer ibericum* M. Bieb. Ex Willd.), ნეკერჩხალი (ქორაფი) (*Acer laetum* C.A.M.), პატარა თელადუმა (*Ulmus minor* Mill), შინდი (*Cornus mas* L.), შავჯაგა (*Rhamnus pallasii* F. et M.), შავი კუნელი (*Crataegus pentagyna* W. et K.), ჩიტავაშლა (*Pyracantha coccinea* Roem.), ბერსელა (*Brachypodium sylvaticum* (Huds) P.B.), ისლი (*Carex sylvatica* Huds.).

გ) მუხნარ-რცხილნარი (*Iberica Quercitum - Carpinium betuli*) გვხვდება 800-1,100 მ ზღ.დ., წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: ქართული მუხა (*Quercus iberica* Stev), რცხილნარი (*Carpinus betulus* L., *C. Orientalis* Mill.), თამელი (*Sorbus torminalis* (L.) Crantz), ნეკერჩხალი (ქორაფი) (*Acer laetum* C.A.M.), აღმოსავლური ნაძვი (*Picea orientalis* (L.) Link), კავკასიური სოჭი (*Abies nordmanniana* (Stev.) Spach), შინდი (*Cornus mas* L.), შინდანწლა (*Swida australis* C.A.M.), წერწა (*Lonicera caucasica*



Pall.), ტყის ცოცხი (*Cytisus ruthenicus* Wol. (*C. caucasicus*)), წივანია (*Festuca drymeia* Mert. ex W.D.J. Koch), მოპიტნაო (*Clinopodium vulgare* L.), სვინტრი (*Polygonatum glaberrimum* C. Koch), მაჩიტა (*Campanula rapunculoides* L.), სათითურა (*Dactylis glomerata* L.).

დ) ცაცხვნარ-ნეკერჩხლიანი (Tilio-Acerion) გვხვდება (ბირთვისის) კლდოვან ფერდობებზე, წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: ცაცხვი (*Tilia begonifolia* Steven.), ნეკერჩხლიანი (*Acer laetum* C.A.M., *A. Campestre* L.), იფანი (*Fraxinus excelsior* L.), თელა (*Ulmus glabra* Mill.), ჯარცხილა (*Carpinus orientalis* Mill), ჩვეულებრივი მურყანი (როხმელა) (*Alnus barbata* C.A.M.), კატაბარდა (*Clematis vitalba* L.), ცისტოვალა (*Scilla siberica* Hav.), ტყის ფურისულა (*Primula woronowii* Los-Los.), სურნელოვანი ია (*Viola odorata* L.), ტყიურა (*Laser trilobum* (Jacq.) Borkh.).

ე) მუქწიწვიანი ტყე (Piceeta orientalis-Abieta nordmanniana) გვხვდება 900-1,950 მ-მდე ზღ.დ. ალგეთის დაცული ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში, წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: აღმოსაღური ნაძვი (*Picea orientalis* (L.) Link), კავკასიური სოჭი (*Abies nordmanniana* (Stev.) Spach), წიფელი (*Fagus orientalis* Lipsky), წივანია (*Festuca drymeia* Mert. ex W.D.J. Koch), ბრძამი (*Calamagrostis arundinacea* (L.) Roth), კატაბალახა (*Valeriana alliariifolia* Adams.), მთის პიტნა (*Calamintha grandiflora* L.), ფუჭფუჭა (*Lapsana grandiflora* M. Bieb.), მთის შროშანი (*Lilium szowitsianum* Fisch. et Lall.), გვიმრები (*Gymnocarpium dryopteris* (L.) Newman), მოცვი (*Vaccinium myrtillus* L.).

ვ) ფიჭვნარი ტყე ქსეროფილური ბალახოვანი საფარით (Pineta xeroherbosa) სამხრეთ ფერდობებზე 1,500 მ-მდე ზღ. დ. გვხვდება კავკასიური (სოსნოვსკის, კობის) ფიჭვი – *Pinus kochiana* ქართულ მუხასთან – *Quercus iberica*-სთან ერთად, ხოლო 1,500 მ-ზე მაღლა მაღალმთის მუხასთან – *Quercus macranthera* R. et M-სთან ერთად. ჩრდილოეთ ფერდობებზე ფიჭვი – *Pinus kochiana* გვხვდება ნაძვის *Picea orientalis* (L.) Link-ის ტყეში. ამ სახეობების გარდა გვხვდება შემდეგი სახეობები: ნეკერჩხლიანი (*Acer laetum* C.A.M., *A. Trautvetteri* Medw.), ცაცხვი (*Tilia begoniifolia* Steven.), ტყის ცოცხი (*Cytisus ruthenicus* Wol. (*C. caucasicus*)), ისლი (*Carex buschiorum* V.I.Krecz. ex Kolak.), მდელის თივაქასრა (*Poa pratensis* L.), ბარსელა (*Brachypodium sylvaticum* (Huds.) P.B.), სესლერია (*Sesleria anatolica* Dayl.), ქოთანა (*Silene dianthoides* Pers.), მინუარცია (*Minuartia woronowii* Schischk).

ზ) სუბალპური მდელოები გამოირჩევა დიდი ფლორისტული და ფიტოსოციოლოგიური მრავალფეროვნებით. მდელოები ხშირად მეორეულია და წარმოდგენილია მარმუქიანი (*Alchemilla*) და ძიგვიანი (*Nardus stricta* L.) მდელობით.

3. ალგეთის ეროვნული პარკის უმეტესი ტერიტორია მოიცავს ჰაბიტატებს, რომლებიც ზურმუხტის ქსელის ნაწილად მოიაზრება. ზურმუხტის ქსელი არის მაღალი პრიორიტეტის ტერიტორიების ქსელი ევროპული ველური ფლორისა და ფაუნის და მათი ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაციისთვის, რომლის ინიცირება მოხდა 1998 წელს ევროპის საბჭოს მიერ, როგორც მათი სამუშაოს ნაწილი ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაციის კონვენციის ქვეშ (ბერნის კონვენცია). ზურმუხტის ქსელის ჰაბიტატებიდან ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე წარმოდგენილია:

ა) **ნოტიო ან სველი ოლიგოტროფული ბალახოვანი ცენოზები:** ბორეალური, ნემორალური და სტეპის ზონათა ბალახოვანი ცენოზები სველ, საკვები ელემენტებით ღარიბ, ხშირად ტორფიან ნიადაგებზე, რომელიც მოიცავს უხეშ მჟავე-სუბსტრატთან ბალახოვან ცენოზებს იმერული ისლის (*Molinia caerulea* (L.) Moench) დომინირებით და შედარებით დაბალმოზარდ სველ ჯანსად ბალახოვან ცენოზებს ჭილით (*Juncus squarrosus* L.), ძიგვით (*Nardus stricta* L.) და *Scirpus cespitosus* L.-ით. მოიცავს ფიტოცენოზებს: იმერულ ისლს (*Molinia caerulea*), *Juncus squarrosus*, *Junco-Molinia* და *Juncus acutiflora*.

ბ) **წიფლნარი:** ტყეები ევროპული წიფელის (*Fagus sylvatica* L.) დომინირებით დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში და აღმსავლური წიფელის *Fagus orientalis* Lipsky-ისა და წიფლის სხვა

სახეობების დომინირებით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და პონტოს რეგიონში. ტიპური ფიტოცენოზებია: *Scillo lilio-hyacinthi*-Fagion, *Galio rotundifolii*-Fagion, *Geranio nodosi*-Fagion, *Geranio striati*-Fagion, *Doronicum orientalis*-Fagion *moesiaca*, *Symphitum cordati*-Fagion, *Dentario quinquefoliae*-Fagion, *Fagion sylvaticae*, *Sorbo*-Fagion, *Lonicera alpigenae*-Fagion, *Aremonio*-Fagion, *Endymion non-scripti*-Fagion, *Rhododendron pontici*-Fagion *orientalis*, *Vaccinium*-Fagion *orientalis*, *Carpino*-Fagion *orientalis*, *Viola odorata*-Fagion *orientalis*, *Luzulo*-Fagion *sylvaticae* და *Ilici*-Fagion *sylvaticae*.

გ) აღმოსავლური ნაძვნარი: ტყეები აღმოსავლური წიფელის *Picea orientalis* (L.) Link დომინირებით კავკასიაში და აღმოსავლეთ პონტოს რეგიონში. ევროპის საბჭოს მიერ ჩამოთვლილი ძირითადი მცენარეების გვარებიდან აღსანიშნავია *Geranio iberici*-*Pinion orientalis*. ძირითადი სახეობაა აღმოსავლური ნაძვი (*Picea orientalis* (L.) Link).

### მუხლი 13. ბიომრავალფეროვნება

#### 1. ფლორა და მცენარეულობა

ა) ალგეთის ეროვნული პარკის და მისი მიმდებარე ბუნების ძეგლების მცენარეული საფარი მიეკუთვნება კავკასიის მცენარეულობის ზონირების აღმოსავლეთ კავკასიურ ტიპს. ვერტიკალური ზონირების ტიპები და ქვეტიპები, რომელიც გვხვდება ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილია ქვემოთ:

ბ) მთის ქვედა სარტყელი, რომელიც მოიცავს მუხნარ და რცხილნარ ტყეებს (*Quercus iberica* Stev., *Carpinus caucasica* Grossh.); ცაცხვნარი (*Tilia begonifolia* Stev.) და ნეკერჩხლიანი (*Acer laetum* C.A.M., *A. Campestre* L.). მთის შუა სარტყელი, რომელიც მოიცავს წიფლნარ ტყეებს (800-2,100 მ), ფიჭვის ტყეებს (800-2,100 მ). მთის ზედა სარტყელი, წიფლნარი (*Fagus orientalis* Lipsky) და მუხნარი (*Quercus macranthera* F. et M.), ასევე წიწვიანი და შერეული ტყე. ქვედა სუბალპური სარტყელი, მუხნარი, ფიჭვნარი, ნაძვნარი და ნეკერჩხლიანი (*Quercus macranthera* F. et M., *Pinus kochiana* (*sosnowskyi*) Nakai, *Picea orientalis* (L.) Link, *Acer trautvetteri* Medw.). ალგეთის დაცული ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში არის წიწვიანი ტყეები, რომელიც შექმნილია კავკასიური ფიჭვის (*Pinus kochiana* (*sosnowskyi*) Nakai), აღმოსავლური ნაძვის (*Picea orientalis* (L.) Link) და კავკასიური სოჭის (*Abies nordmanniana* (Stev.) Spach), ღვიის (*Juniperus foetidissima* Willd., *J. rufescens* Link) მიერ. ზოგადად, ეს მცენარეულობა განსხვავდება ალგეთის ეროვნული პარკის სამხრეთ ნაწილებისა და მიმდებარე ბუნების ძეგლების მცენარეულობისგან. დღეისათვის არ არსებობს მონაცემები ცალკეული სახეობების ფართობების შესახებ არც ეროვნული პარკისთვის და არც ბუნების ძეგლებისთვის. 1997 წლის ტყეთმომწივობის მონაცემების მიხედვით, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ნაძვს ეკავა 1400 ჰა, წიფელს – 2250 ჰა, რცხილას – 250 ჰა, ფიჭვს – 120 ჰა, მუხას – 1800 ჰა. აღნიშნული ინფორმაცია გასაახლებელია, ამასთან დასაზუსტებელია სახეობათა გავრცელების ფართობები ახალშემოერთებულ ტერიტორიებზე.

გ) ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორია ბოტანიკურად სრულად არ არის შესწავლილი. პროფესორმა მარდალეიშვილმა 1970 წელს შეისწავლა ალგეთის ხეობის ფლორა და მცენარეულობა, ხოლო გ. ჭინჭარაულმა 1988 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ალგეთის ნაკრძალის და მიმდებარე ტერიტორიის მცენარეული რესურსები“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს სახეობები ეროვნული პარკის ტერიტორიაზეც გვხვდება (დანართი 6).

დ) ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამოვლენილია სოკოების 537 სახეობა (206 მიკროსკოპური სოკოები და 331 მაკროსკოპული სოკოები) (დანართი 7) და ხავსების 150 სახეობა. წყალმცენარეები უშუალოდ დაცული ტერიტორიების ფარგლებში არ არის შესწავლილი, თუმცა ადრე ჩატარებული კვლევების მიხედვით, რეგიონში აღწერილია წყალმცენარეთა 305 სახეობა (დანართი 8).

2. საქართველოს „წითელი ნუსხაში“ და/ან IUCN-ის საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობათა „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ენდემური და რელიქტური მცენარეები

ა) ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე გვხვდება ზოგიერთი ენდემური და რელიქტური მცენარეების სახეობა, რომელიც საჭიროებს დაცვას (ცხრილი 2).

ცხრილი 2: ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებული ზოგიერთი, ენდემური და რელიქტური სახეობა

№	სახეობა	ენდემები	რელიქტები
1	ჰირკანული ნეკერჩხალი ( <i>Acer hyrcanum</i> , Fisch. & C.A.Mey.)		*
2	ქართული ნეკერჩხალი ( <i>A. Ibericum</i> M. Bieb. Ex Willd.)		*
3	ქორაფი ( <i>A. Laetum</i> C.A.M.)		*
4	მაღალმთის ბოკვი ( <i>A. Trautvetteri</i> Medw.)	*	*
5	<i>Anthriscus trifida</i>	*	
6	ღიმი ( <i>Chaerophyllum roseum</i> )	*	
7	<i>Seseli grandivittatum</i> Schischk.	*	
8	<i>Jurinea blanda</i> M. Bieb	*	
9	<i>Psephellus somcheticus</i> Sosn.	*	
10	ქართული კოწახური ( <i>Berberis iberica</i> Stev. et Fisch.)	*	
11	<i>Sisymbrium elatum</i> Cock	*	
12	<i>Asyneuma campanuloides</i> [M. Bieb. ex Sims] Bornm.	*	
13	მაჩიტა ( <i>Campanula grossheimii</i> Kharadze.)	*	
14	პირთეთრა ( <i>Cerastium argenteum</i> M.B.)	*	
15	მიხაკი ( <i>Dianthus caucaseus</i> Sims.)	*	
16	სკიპალო ( <i>Cephalaria gigantea</i> (Led.) E.Bobr.)	*	
17	ქართული თხილი ( <i>Corylus iberica</i> Wittm. et Kem. Nath.)	*	*
18	წიფელი ( <i>Fagus orientalis</i> Lipsky.)		*
19	აღმოსავლური ნაძვი ( <i>Picea orientalis</i> (L.) Link)		*
20	სოჭი ( <i>Abies nordmanniana</i> (Stev.) Spach)		*

ბ) ასევე, ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე გვხვდება საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობები:

- მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera* F. et M.) – VU(A2)
- შავი ღვია (*Juniperus foetidissima* Willd.) – VU (B1)
- ქართული ნეკერჩხალი (*Acer ibericum* M. Bieb.) – VU (B1c(ic))
- ყამბრო (*Crataegus pontica* K.Koch.) – VU (B1bc)

3. ფაუნა, ქვეყნის ან მსოფლიო დონეზე, საფრთხეში მყოფი და საფრთხესთან ახლო მყოფი სახეობების ჩათვლით

ა) ძუძუმწოვრები: ალგეთის ეროვნულ პარკში გამოვლენილია დაახლოებით 55 სახეობის ძუძუმწოვარია, მათი ჰაბიტატის მიმართ მოთხოვნების შესაბამისად. მათ შორისაა საქართველოს „წითელი ნუსხის“ 8 სახეობა. აქედან ფოცხვერი (*Lynx lynx*) შეტანილია როგორც კრიტიკულ საფრთხეში მყოფი (CR), მურა დათვი (*Ursus arctos*) როგორც საფრთხეში მყოფი (EN) და 5 სახეობა, როგორც მოწყვლადი (VU). ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN)-ის საფრთხის ქვეშ

მყოფ „წითელ ნუსხაში“ შეტანილია 3 სახეობა (ევროპული მაჩქათელა – *Barbastella barbastellus*, ამიერკავკასიური ზაზუნა – *Mesocricetus brandti*, წავი – *Lutra lutra*) როგორც საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT) (დანართი 10). დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე გავრცელებულია ხელფრთიანთა 10 სახეობა, წვრილი ძუძუმწოვრების 22 სახეობა.

ბ) *ფრინველები*: ალგეთის ეროვნულ პარკში გამოვლენილია 142 სახეობის ფრინველი, ან შეიძლება ვივარაუდოთ მათი ეს სახეობრივი რაოდენობა დროებით მაინც, მათი ჰაბიტატის მიმართ მოთხოვნების შესაბამისად. მათ შორის საქართველოს „წითელი ნუსხის“ 14 სახეობაა. აქედან სახეობა ბარი (*Falco cherrug*) შეტანილია როგორც კრიტიკულ საფრთხეში მყოფი (CR), ხოლო სვაკი (*Aegypius monachus*), რუხი წერო (*Grus grus*) და თვალშავი (*Falco vespertinus*) როგორც საფრთხეში მყოფი (EN) და სხვა 10 სახეობა როგორც მოწყვლადი (VU). ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) „წითელ ნუსხაში“ შეტანილია ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*) და ბარი (*Falco cherrug*) როგორც საფრთხეში მყოფი სახეობები (EN). სხვა 2 სახეობა – მცირე მყივანი არწივი (*Clanga clanga*) და ბექობის არწივი (*Aquila heliaca*) შეტანილია როგორც მოწყვლადი (VU) და სხვა 8 სახეობა, როგორც საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT). ამ 142 სახეობიდან 49 მობინადრე ფრინველია, (რომელიც ბუდობს საკვლევ ტერიტორიაზე და მუდმივად, ყველა სეზონზე იქ ბინადრობს); აქედან სახეობა ბუკიოტი (*Aegolius funereus*) მოწყვლადია (VU); 43 – მობუდარი ფრინველია (რომელიც ბუდობს საკვლევ ტერიტორიაზე, მაგრამ არ გვხვდება სხვა დროს), აქედან სახეობა ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*) მოწყვლადია (VU) გლობალურ დონეზე, რომელიც შეიძლება ბუდობდეს ბირთვისის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე. 40 სახეობა – გადამფრენი (30 სახეობა) ან მოზამთრე ფრინველია (10 სახეობა), აქედან რუხი წერო (*Grus grus*) და თვალშავი (*Falco vespertinus*) საფრთხეში მყოფი სახეობებია (EN) ეროვნულ დონეზე და სხვა 4 სახეობა მოწყვლადი (VU). 10 სახეობა – შემომფრენი ფრინველია, რომელიც მხოლოდ რამდენიმეჯერ დაფიქსირდა ტერიტორიაზე (დანართი 12).

გ) *ქვეწარმავლები*: ალგეთის ეროვნულ პარკში გამოვლენილია 19 სახეობის ქვეწარმავალი ან შეიძლება ვივარაუდოთ მათი ეს სახეობრივი რაოდენობა, მათი ჰაბიტატის მიმართ მოთხოვნების შესაბამისად. მათ შორის დალის ხვლიკი (*Darevskia dahli*) და ხმელთაშუაზღვის კუ (*Testudo graeca*) საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობებია. ეს უკანასკნელი კი ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) „წითელი ნუსხის“ მოწყვლადი (VU) სახეობაცაა. აქვე წარმოდგენილია 4 საფრთხესთან ახლოს მყოფი სახეობა: დალის ხვლიკი (*Darevskia dahli*), ართვინის ხვლიკი (*Darevskia dahli*), მტკვრის ხვლიკი (*Darevskia portschinskii*), ამიერკავკასიური ცხვირქოსანი გველგესლა (*Vipera transcaucasiana*) (დანართი 13).

დ) *ამფიბიები*: ალგეთის ეროვნულ პარკში გამოვლენილია 8 სახეობის ამფიბია ან შეიძლება ვივარაუდოთ მათი ეს რაოდენობა, მათი ჰაბიტატის მიმართ მოთხოვნების შესაბამისად. მათ შორის მხოლოდ 1 სახეობა (მცირეაზიური ტრიტონი – *Triturus vittatus* (*Ommatotriton ophryticus*)) შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) „წითელი ნუსხაში“, როგორც საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT) (დანართი 14).

ე) ალგეთის ეროვნული პარკის მდინარეებში და ნაკადულებში გავრცელებულია თევზის რამდენიმე სახეობა, მათ შორის კობრისებრთა ოჯახიდან: მურწა (ციმორი) (*Barbus mursa*), ხრამულა (*varicorhinus*), ნაფოტა (*Rutilus*), ასევე კალმახი (*salmo fario*).

ვ) *უხერხემლოები*: ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აღრიცხულია უხერხემლო ცხოველების 22 რიგი, 134 ოჯახი, 567 გვარი და 1,013 სახეობა (მწერების, ობობების, მოლუსკების და ჭიების ნუსხა წარმოდგენილია დანართ 15-ში).

ზ) ამ დროისთვის არ არსებობს მონაცემები სამშვილდის კანიონის, დაშაშის კანიონის და ბირთვისის ბუნების ძეგლების ბიომრავალფეროვნების შესახებ, გარდა ზემოთ ხსენებული (პუნქტი 1 და პუნქტი 2) ინფორმაციისა.

4. **ენდემური და რელიქტური ცხოველების სახეობები:** 13 სახეობა განიხილება, როგორც ენდემური კავკასიისა და საქართველოსთვის (დანართი 9, 11). აქ წარმოდგენილია კავკასიისთვის ენდემური 3 უხერხემლო ცხოველი: ოჯახი (*Tipulidae*) 2 სახეობით და ოჯახი (*Bibionidae*) 1 სახეობით.

5. **ალგეთის დაცული ტერიტორიების ეკოსისტემების და ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებები**

ა) ზემოთ აღწერილი ალგეთის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნება (ფლორა, ფაუნა და ეკოსისტემები) შეიძლება შეჯამდეს ბიომრავალფეროვნების ძირითად ღირებულებებში. შეიძლება ითქვას, რომ, თუ ყველა ეს ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულება ისე იქნება მართული, რომ მათი კონსერვაციის სტატუსი შენარჩუნდება ან გაუმჯობესდება, მაშინ ალგეთის დაცული ტერიტორიების ეკოსისტემები და სახეობები, ასევე ეფექტურად იქნება დაცული.

ბ) წიწვოვანი ტყე: მის შემადგენლობაში შედის მუქი წიწვოვანი ტყეები, რომელიც ალგეთის ნაკრძალის და ალგეთის ეროვნული პარკის შექმნის პირველადი მიზეზია და მოიცავს მაღალი კონსერვაციის ღირებულების მქონე სახეობებს, როგორცაა აღმოსავლური ნაძვი (*Picea orientalis* (L.) Link) და კავკასიური სოჭი (*Abies nordmanniana* (Stev.) Spach). მრავალფეროვანი ფლორისა და ფაუნის ჰაბიტატები, ენდემური და რელიქტური სახეობების ჩათვლით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის უზრუნველყოფს ეკოსისტემის მნიშვნელოვანი სერვისების მიწოდებას (შეშა, ტყის არამერქნული პროდუქტები).

გ) შერეული და ფოთლოვანი ტყე: მოიცავს მაღალი კონსერვაციული ღირებულების სახეობებს, როგორებიცაა კავკასიური სოჭი (*Abies nordmanniana* (Stev.) Spach), ქართული ნეკერჩხალი (*Acer ibericum* M. Bieb – ეროვნულ დონეზე მოწყვლადი რელიქტური სახეობები, რომლებიც გვხვდება სამშვილდის კანიონის და ბირთვისის ბუნების ძეგლებში), თელა (*Ulmus*) და სხვადასხვა ორქიდეები. ზურმუხტის ქსელის ჰაბიტატი – *Fagus woodland* წიფლნარი, მრავალფეროვანი ფლორისა და ფაუნის ჰაბიტატები, ენდემური და რელიქტური სახეობების ჩათვლით. ადგილობრივი მოსახლეობისთვის უზრუნველყოფს ეკოსისტემის მნიშვნელოვანი სერვისების მიწოდებას (შეშა, არამერქნული ტყის პროდუქტები).

დ) სუბალპური (ფოთლოვანი) ტყე: მოიცავს მაღალი კონსერვაციული ღირებულების სახეობებს, როგორებიცაა კავკასიური მუხა (*Quercus macranthera* R. et M.). სუბალპური ფლორისა და ფაუნის ჰაბიტატები, მათ შორის ენდემური და რელიქტური სახეობები.

ე) მდელოები: მოიცავს ზურმუხტის ქსელის ჰაბიტატებსა და მაღალი კონსერვაციის ფლორის სახეობების ჰაბიტატებს, რამდენიმე ორქიდეის სახეობის ჩათვლით. ადგილობრივი მოსახლეობისთვის უზრუნველყოფს ეკოსისტემის მნიშვნელოვანი სერვისების მიწოდებას (სადოვრები).

ვ) მდინარეები და ნაკადულები: ხელს უწყობს პარკის ყველა სხვა ეკოსისტემის ფუნქციონირებას, როგორებიცაა მტკნარი წყლის ნაკადის ფაუნის ჰაბიტატები, მათ შორის ამფიბიები და უხერხემლოები, ასევე ევრაზიული წავი (*Lutra lutra*), ეროვნულ დონეზე გადაშენების პირას მყოფი მტკნარი წყლის ფაუნის ქოლგა სახეობები და ინდიკატორი სახეობები ნაკადულის ჰაბიტატების ხარისხისთვის. ადგილობრივი მოსახლეობისთვის უზრუნველყოფს ეკოსისტემის მნიშვნელოვანი სერვისების მიწოდებას (წყალი).

ზ) მურა დათვი (*Ursus arctos*): ეროვნულ დონეზე გადაშენების პირას მყოფი ქოლგა სახეობა ტყის ფაუნისთვის.

თ) ფოცხვერი (*Lynx lynx*): ეროვნულ დონეზე გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი ქოლგა სახეობა ტყის ფაუნისთვის.

ი) ევროპული შველი (*Capreolus capreolus*): ალგეთის ეროვნული პარკის ფაუნის ქოლგა სახეობაა ჩლიქოსან ცხოველებს შორის. მისი პოპულაცია ფართოდაა გავრცელებული დაცულ ტერიტორიაზე. პარკის ტერიტორია წარმოადგენს ირმის რეინტროდუქციის პოტენციურ ადგილს.

კ) ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*): გლობალურ დონეზე გადაშენების პირას მყოფი და ეროვნულ დონეზე საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა, რომლის კონსერვაციისთვის საქართველოს გლობალურ დონეზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია. სავარაუდოდ, ბუდობს ბირთვისის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე.

#### **მუხლი 14. მეცნიერება და განათლება**

1. ეროვნული პარკს და ბუნების ძეგლებს სამეცნიერო კვლევა-მონიტორინგის თვალსაზრისით კარგი პოტენციალი გააჩნიათ. ალგეთის დაცული ტერიტორიების ფლორის და ფაუნის ძირითადი ჯგუფები დღემდე სრულად არ არის შესწავლილი.

2. ეროვნულ პარკს და ბუნების ძეგლებს გააჩნიათ სხვადასხვა ტიპის ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზების პოტენციალი (ლექცია-სემინარები, ტრენინგები, ღონისძიებები მწვანე კალენდრის მიხედვით, ეკო-გაკვეთილები ველზე, მწვანე აქციები, ეკოტურები და სხვა), ძირითადად, მიმდებარე სოფლების სკოლებისა და, ზოგადად, რეგიონის მოსახლეობისთვის.

#### **მუხლი 15. მიწათსაკუთრება და მიწათსარგებლობა**

1. ეროვნული პარკის და ბუნების ძეგლების მთელი ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს. დაცული ტერიტორიების სააგენტო, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მეშვეობით, პასუხისმგებელია მათ მართვაზე.

2. ეროვნული პარკის ტერიტორია დაფარულია ზომიერად სახეცვლილი ტყეებით, სადაც ჭრები მხოლოდ დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობდა.

3. ეროვნული პარკის დაარსებამდე შეშის დამზადება ხდებოდა მიმდებარე სოფლების მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ხე-ტყის ჭრა, ძირითადად, ხდებოდა სპეციალურად გაყვანილი სამანქანე და სატრაქტორე გზების მიმდებარედ (100-150 მ. ზოლში გზის თითოეულ მხარეს). ხშირად ადგილი ჰქონდა ჭრის წესების დარღვევის ფაქტებს.

4. ხელსაყრელი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ტყეების განახლება მეტწილად დამაკმაყოფილებელია. თუმცა ზოგიერთი ჭრაგავლილი ტერიტორია დაფარულია მაყვლით, ასკილით, ჯაგრცხილით, ქაცვით, ასევე არყითა და სხვა მაღალბალახეულობით და ბუჩქნარებით, ხოლო ჭრაგაუვლელ ტერიტორიებზე წარმოდგენილია ფიჭვი და ნაძვი.

5. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე საქონლის ძოვების შედეგად დაზიანების ხარისხის სისტემატური შეფასება არ განხორციელებულა; აქ დაახლოებით 700 სულამდე მსხვილფეხა რქოსანი და 300-მდე წვრილფეხა პირუტყვი ძოვს.

6. ეროვნულ პარკში მიწათსარგებლობის ფორმები რეგულირდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლისა და 2013 წლის 22 მაისის საქართველოს მთავრობის №125 დადგენილების „დაცული ტერიტორიების უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემისას საწყისი სააუქციონო ფასის განსაზღვრისა და აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად. ეროვნული პარკი იყოფა ფუნქციონალურ ზონებად, რომლებიც ცალ-ცალკე განსაზღვრავს მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ წესებსა და შეზღუდვებს.

7. ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია ზოგიერთი განახლებადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, როგორცაა ადგილობრივი თემების უზრუნველყოფა საშემე მერქნით, ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვება, მათ შორის: კაკალი, სოკო, მაცვალი, ჟოლო, ასკილი, ზღმარტლი, პანტა, ტყემალი, მაჟალო, შინდი და მარწყვი; აგრეთვე ეროვნულ პარკში არსებული წყაროებიდან წყლის რესურსებით სარგებლობა.

### **მუხლი 16. ალგეთის ეროვნული პარკის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა**

1. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური თუ ხუროთმოძღვრული ძეგლების განსაკუთრებული სიმრავლე ამ მხარის ხანგრძლივი ისტორიის მოწმობაა და ხშირ შემთხვევაში, ნივთიერი დადასტურებაა წერილობით წყაროებში შემონახული მნიშვნელოვანი მოვლენების. წინაქრისტიანული ხანიდან დაწყებული გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით, ყველა ტიპის ნიმუშების ერთობლიობა, მდიდარ მასალას იძლევა ქართული მატერიალური კულტურის განვითარების უწყვეტი სურათის წარმოსადგენად.

2. ალგეთის ხეობა ეკონომიკურად ქვემო ქართლის ერთ-ერთი მოწინავე მხარეა. საუკეთესო ბუნებრივი პირობები, ჰავა, პროდუქტიული საძოვრები და სათიბები, ტყის მასივები, მორწყვის შესაძლებლობა საუკუნეთა მანძილზე ხეობის მეურნეობის ინტენსიური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი იყო. ხეობის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი მისმა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. აქ გადიოდა (ახლაც გადის) უმოკლესი გზები, რომლითაც უკავშირდებოდა ერთმანეთს შიდა და ქვემო ქართლი, თრიალეთ-ჯავახეთი და კახეთი. სწორედ ამ გზების სადარაჯოდ იყო აღმართული ალგეთის ცნობილი ციხეები: ბირთვისი, ორბეთი, ფარცხისი, კლდეკარი. არქეოლოგიის თვალსაზრისითაც შესაბამისი მასალები ალგეთის მთელ ტერიტორიაზე აღმოჩენილია ენეოლითისა და ადრე ბრინჯაოს ხანიდან გვიან შუასაუკუნეებამდე. ალგეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში და მიმდებარე მიდამოებში შემორჩენილია ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები და ციკლოპური ნაგებობები.

3. ალგეთის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილია უამრავი არქეოლოგიური ძეგლი, რომელთაგან ყველაზე ადრინდელები ენეოლითის და ადრე ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. შემორჩენილია ბრინჯაოს ხანის ციკლოპური ციხეები, მოქმედი ეკლესიები და ეკლესია-ნანგრევები (იხ. დანართ 16-ში ისტორიულ-კულტურული ობიექტების ნუსხა და რუკა). ალგეთის ეროვნული პარკის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვართან მდებარეობს ისტორიული დიდგორის ველი.

### **მუხლი 17. ტურიზმი და რეკრეაცია**

1. ალგეთის ეროვნული პარკი ქ. თბილისიდან 60 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. უმაღლესი წერტილია კლდეკარის მთა (2,019 მ), რომლის ისტორიულ-კულტურული ღირებულების გათვალისწინებით, ტურისტული თვალსაზრისით ის ერთ-ერთი მიმზიდველი ადგილია ქვემო ქართლის რეგიონში. ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილი ლანდშაფტები, მთების და გორაკების ჩათვლით, კულტურული მემკვიდრეობის ნაშთები და, ასევე, მდინარე ალგეთი, ეკოტურისტული თვალსაზრისით ძალიან მიმზიდველი გარემოა.

2. ეროვნულ პარკს და ბუნების ძეგლებს გააჩნიათ საკმაოდ კარგი პოტენციალი მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის.

3. ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე განვითარებულია ტურიზმის ისეთი ფორმები, როგორებიცაა: საფეხმავლო (ლაშქრობები), საცხენოსნო და ისტორიულ-კულტურული, ასევე არქეოლოგიური ტურები (დანართი 17).

4. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ალგეთის დაცული ტერიტორიები მდებარეობს დაბა მანგლისთან, რომელიც მნიშვნელოვან საკურორტო ადგილს წარმოადგენს და უამრავი დამსვენებელი ჰყავს გაზაფხულისა და ზაფხულის სეზონზე.

### **მუხლი 18. ადგილობრივი ეკონომიკისა და ალგეთის დაცული ტერიტორიების ურთიერთკავშირი**

1. ალგეთის ეროვნული პარკის მიმდებარედ განლაგებულია დაბა მანგლისი და 9 მცირე სოფელი (შეხვეტილა, არხოტი, კოდისწყარო, ნაპილნარი, ჯვრისხევი, ქვემო ჭინჭრიანი, ზემო ჭინჭრიანი, პატარა ნამტვრიანი, დიდი ნამტვრიანი, ფარცხისი, ამლივი, კოხტა, ხარება, სამშვილდე). მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენს 757 კომლს, 2,294 სულს; აქედან სოფლებში მუდმივი მაცხოვრებელია დაახლოებით 18 კომლი, 164 სული.

2. მოსახლეობის უმეტესობა დაკავებულია სოფლის მეურნეობით და, ძირითადად, მისდევს მესაქონლეობას, მემარცვლეობას, მეხოსტნეობას, თივის დამზადებას, მეფუტკრეობას. მოსახლეობა სარგებლობს ალგეთის ეროვნული პარკის სხვადასხვა რესურსით, შეშის, სამოვრებისა და სათიბების ჩათვლით.

3. დაბა მანგლისში 74 საოჯახო სასტუმროა, რომელიც მოქმედია ტურისტული სეზონის (ივნისი-სექტემბერი) განმავლობაში.

4. არსებული სოციალური პრობლემებია: ცუდი წყალმომარაგება, შიდა გზების გაუმართაობა, გაზიფიკაციის არარსებობა, ნარჩენების მართვის არარსებობა სოფლებში, საცხოვრებელი სახლების ავარიული მდგომარეობა სოფლებში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირე.

5. „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში – საქართველო“ (SPPA-საქართველო) პროექტის ხელშეწყობით, 2014 წლიდან ალგეთის ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლებში სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. 2014-2016 წლებში მყისიერი დაწყების მექანიზმის (QSM) და ფინანსური თანამონაწილეობითი მიდგომის (FPA) მეთოდების გამოყენებით განხორციელდა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი სულ 228,402 ლარის ღირებულების (ინდივიდუალური და სათემო) პროექტები.

### **თავი III. გრძელვადიანი მიზნები**

#### **მუხლი 19. ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნები**

1. გრძელვადიანი მიზნები ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, ცოცხალი ორგანიზმების და გეომორფოლოგიური ღირებულებების მიმართ უნდა ჩამოყალიბდეს როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულად, რათა წარმატებით განხორციელდეს ალგეთის დაცული ტერიტორიების მართვა.

2. ზოგადი: ალგეთის ეროვნული პარკის, ისევე როგორც დაშბაშისა და სამშვილდის კანიონების და ბირთვისის ბუნების ძეგლების გეომორფოლოგიური და გეოლოგიური წარმონაქმნები ბუნებრივი ლანდშაფტები და ჰაბიტატები დაცულია და აღდგენილია საჭიროების შემთხვევაში. ცხოველთა და მცენარეთა პოპულაციები და ჯგუფები დაცულია მათ ბუნებრივ და დიდწილად უცვლელ გარემოში. ალგეთის დაცული ტერიტორიები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეროვნულ და გლობალურ დონეზე საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების გენოფონდის გრძელვადიან კონსერვაციას. სახეობების პოპულაციის რაოდენობა გაიზარდა და მიაღწია ტერიტორიისთვის დამახასიათებელ მიახლოებით ბუნებრივ ტევადობას.

3. ზემოთ აღნიშნული ზოგადი გრძელვადიანი მიზანი შეიძლება განისაზღვროს ალგეთის დაცული ტერიტორიებისთვის იდენტიფიცირებული ძირითადი ბიომრავალფეროვნების და



გეომორფოლოგიური ღირებულებებისთვის. პირველი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებიდან 25 წლის შემდეგ:

ა) ალგეთის დაცული ტერიტორიების ყველა წიწვოვანი, შერეული და ფოთლოვანი ტყის კონსერვაციის სტატუსი შენარჩუნებული ან გაუმჯობესებულია 2018 წელთან შედარებით, ტყით დაფარული ფართობი შენარჩუნებულია ან გაზრდილი, ტყის კორომის მახასიათებლები ასახავენ ჯანსაღ, თითქმის ბუნებრივ ან ბუნებრივ ტყეებს, მნიშვნელოვანი ტყის მცენარეული სახეობები, მათ შორის კავკასიური სოჭი (*Abies nordmanniana* (Stev.) Spach), აღმოსავლური ნაძვი (*Picea orientalis* (L.) Link), მაღალმთის მუხა (*Oak Quercus macranthera* R. et M), ქართული ნეკერჩხალი (*Acer ibericum* M. Bieb) და სხვები წარმოადგენენ მინიმუმ იგივე რაოდენობას, როგორც 2018 წელს, და მცენარეთა მავნებლების რაოდენობა დაბალ დონეზეა;

ბ) ალგეთის დაცული ტერიტორიების ყველა მდელოს აქვს საშუალო ან დაბალი დეგრადაცია 2019 წელთან შედარებით, რომელიც ასახულია საძოვრების დეგრადაციის ინდექსებში;

გ) ალგეთის დაცული ტერიტორიების მდინარეების და ნაკადულების მდგომარეობა განაპირობებს მდინარის კალმახის (*Salmo trutta*) სიჯანსაღესა და სიუხვეს;

დ) ალგეთის დაცული ტერიტორიების ძირითად ძუძუმწოვართა სახეობების პოპულაციები, მათ შორის მურა დათვი (*Ursus arctos*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), ევროპული შველი (*Capreolus capreolus*) და წავი (*Lutra lutra*) ახლოს არიან ამ სახეობების ტერიტორიების ბუნებრივ ტევადობასთან;

ე) ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*) აგრძელებს ბირთვისის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე ბუდობას და მათი ბუდეები მომრავლებულია ან შენარჩუნებულია 2018 წელთან შედარებით;

ვ) ალგეთის ეროვნული პარკის და ბუნების ძეგლების ნაწილები, რომლებიც წარმოადგენენ საინტერესო გეომორფოლოგიურ და გეოლოგიურ წარმონაქმნებს, ბუნებრივ ელემენტებთან ერთად, როგორებიცაა დამახასიათებელი მიკროკლიმატი, ჰიდროლოგია და მცენარეულობა, აგრეთვე მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ნაშთები (ბირთვისის ბუნების ძეგლის შემთხვევაში), კარგად არის დაცული.

## **მუხლი 20. ეკოგანათლებასა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული მიზნები**

პირველი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებიდან 25 წლის შემდეგ და ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევის შედეგად, ალგეთის დაცული ტერიტორიები წარმოადგენენ მდიდარ ეკო-საგანმანათლებლო რესურსს. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ადგილობრივ სკოლებთან და სხვა შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის გზით უზრუნველყოფს საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების და ცოდნის ზრდას, რაც ხელს უწყობს საზოგადოების დამოკიდებულების პოზიტიურ ცვლილებას ალგეთის დაცული ტერიტორიების მიმართ და მათ ჩართულობას მართვაში.

## **მუხლი 21. ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მიზნები**

პირველი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებიდან 25 წლის შემდეგ და ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევის შედეგად, ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე წარმატებით ვითარდება ბუნებაზე ორიენტირებული მდგრადი ტურიზმი, სადაც ვიზიტორებისთვის უზრუნველყოფილია სუფთა, უსაფრთხო და მასტიმულირებელი გარემო. ტურიზმიდან მიღებულ შემოსავალს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ალგეთის დაცული ტერიტორიების განვითარებაში.

**მუხლი 22. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასთან და ინტეგრაციასთან დაკავშირებული მიზნები**

პირველი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებიდან 25 წლის შემდეგ, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილები და ძეგლები საკმაოდ კარგადაა შენარჩუნებული, დაცული და ხელმისაწვდომია ვიზიტორებისთვის უსაფრთხო და ინფორმაციული გზით. ისინი წარმოადგენენ ვიზიტორის პროგრამის შემადგენელ ნაწილს ეკოსისტემის პროდუქტებსა და ღირსშესანიშნაობებთან ერთად.

**მუხლი 23. სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები ადგილობრივი ეკონომიკისა და მოსახლეობის სასარგებლოდ**

პირველი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებიდან 25 წლის შემდეგ და ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევის შედეგად, ალგეთის დაცულმა ტერიტორიებმა გააუმჯობესეს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ზოგადი კეთილდღეობა და ხელი შეუწყვეს ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ალგეთის დაცული ტერიტორიები მდგრადად უზრუნველყოფენ ეკოსისტემის სერვისების ფართო სპექტრს, მათ შორისაა არამერქნული ტყის პროდუქტები, საძოვრები, შეშა, სასმელი, ტექნიკური წყალი და სხვა. რეგიონის ბუნებასა და კულტურულ ფასეულობებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო, ესთეტიკური და სულიერი ფასეულობები იზიდავენ ქართველ და უცხოელ ტურისტებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივი ეკო-ტურიზმის ბიზნესზე და შედეგად ახდენს ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებას.

**მუხლი 24. ბუნებრივი რესურსებით მდგრად სარგებლობასთან დაკავშირებული მიზნები**

პირველი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებიდან 25 წლის შემდეგ, ადგილობრივ მოსახლეობას, სრულიად გათვითცნობიერებული აქვს ალგეთის დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა. დაცული ტერიტორიები ხელს უწყობს მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობას მდგრადი გზით, მათთვის საჭირო ბუნებრივი რესურსების მიწოდებით. ასევე ქმნის ადგილობრივი თემებისთვის შემოსავლის ალტერნატიულ წყაროს, რაც ამცირებს მათ დამოკიდებულებას დაცული ტერიტორიების ბუნებრივ რესურსებზე.

**მუხლი 25. მეცნიერებასა და განათლებასთან დაკავშირებული მიზნები**

პირველი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებიდან 25 წლის შემდეგ და ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევის შედეგად, ალგეთის დაცული ტერიტორიები წარმოადგენს საინტერესო სამეცნიერო-კვლევით ბაზას ქართველი და უცხოელი მეცნიერებისთვის. მას აქვს წარმატებული თანამშრომლობა საქართველოს და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ცენტრებთან, ასევე დამოუკიდებელ მკვლევრებთან. ადმინისტრაციას გააჩნია სრულფასოვანი სამეცნიერო ინფორმაცია ტერიტორიის ყველა ძირითადი ღირებულებების შესახებ დაცული ტერიტორიის მართვის ეფექტურად წარმართვისთვის.

**მუხლი 26. ადმინისტრაციის განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები**

პირველი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებიდან 25 წლის შემდეგ ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას გააჩნია ყველა აუცილებელი რესურსი იმისათვის, რომ განაგრძოს ტერიტორიის

ძირითადი ღირებულებების კონსერვაცია და გაუმჯობესება, თანამშრომლების სათანადო რაოდენობა ადეკვატურად აღჭურვილია ფინანსური, ტექნიკური, ინფრასტრუქტურული რესურსით, საჭირო ცოდნით, უნარით და დაცული ტერიტორიების ეფექტურად მართვის გამოცდილებით ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშაა.

**თავი IV. დაცული ტერიტორიის სიტუაციური ანალიზი**

**მუხლი 27. დაცული ტერიტორიის ძირითადი ღირებულებების არსებული მდგომარეობა**

1. ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებების მდგომარეობა: ალგეთის დაცული ტერიტორიების ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებები განისაზღვრა ზემოთ მოცემულ მე-13 მუხლში. მდგომარეობის ატრიბუტები განისაზღვრა თითოეული ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებისთვის და მაქსიმალურად შეგროვდა ინფორმაცია არსებული მდგომარეობის შესახებ (ცხრილი 3). თუმცა ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას აკლია მონაცემები და ინფორმაცია მისი ზოგიერთი ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების (ეკოსისტემები და სახეობები) ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ. ალგეთის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების სრულყოფილად გასაგებად, საჭირო იქნება დამატებითი კვლევები და ინფორმაციის შეგროვება პირველი მენეჯმენტის გეგმის ციკლის განმავლობაში.

*ცხრილი 3: ალგეთის დაცული ტერიტორიების ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებები და შესაბამისი ატრიბუტების არსებული მდგომარეობა*

ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულება	მდგომარეობის ატრიბუტი	არსებული მდგომარეობა
წიწვოვანი ტყე	ტყის ფართობი (ჰა)	1,650 ჰა
	სტანდარტული კორომის მახასიათებლები	არ არსებობს განახლებული ტყის ინვენტარიზაციის მონაცემები.
	ძირითადი სახეობების არსებობა	წარმოდგენილია შემდეგი სახეობები: კავკასიური სოჭი ( <i>Abies nordmanniana</i> (Stev.) Spach), აღმოსავლური ნაძვი ( <i>Picea orientalis</i> (L.) Link) და ინფორმაცია მათი დაფარულობის/სიხშირის შესახებ არ მოიპოვება.
	მავნებლების არსებობა	ამ ტერიტორიაზე აღრიცხულია შემდეგი მავნებლები: ნაძვის დიდი ლაფანჭამია ( <i>Dendroctonus micans</i> Kugel.), ფიჭვის დიდი ცხვირგრძელა ( <i>Curculio glandium</i> Marsh.), ნაძვის მცირე მებაღე, მკრეჭავი (ლაფანჭამია) ( <i>Tomicus minor</i> Linn.), ხარაბუხები ( <i>Cerambycidae</i> ) და პეწიანები ( <i>Buprestidae</i> ), ორკბილა ქერქიჭამია ( <i>Pityogenes bidentatus</i> Herbst.), ოთხკბილა ქერქიჭამია ( <i>Pityogenes quadridens</i> Hartig.), ქერქიჭამია გრავერი ( <i>Pityogenes chalcographus</i> L.), აღნიშნული მავნებლების გავრცელება დაფიქსირებულ იქნა 2017 წლის ოქტომბრის თვეში ეროვნული პარკის თრიალეთის უბნის V, VI, და IX სარეინჯეროების საკვლევ ტერიტორიაზე (1273 ჰა). სხვა ტერიტორიებზე

		ინფორმაცია მათი გავრცელების და ფეთქებადობის/ეპიდემიის შესახებ არ არსებობს.
შერეული და ფოთლოვანი ტყე	ტყის ფართობი (ჰა)	4, 200 ჰა
	სტანდარტული კორომის მახასიათებლები	არ არსებობს ტყის განახლებული ინვენტარიზაციის მონაცემები.
	ძირითადი სახეობების არსებობა	წარმოდგენილია შემდეგი სახეობები: ქართული მუხა ( <i>Quercus iberica</i> ), თელა ( <i>Ulmus</i> ), სოჭი ( <i>Abies nordmanniana</i> (Stev.) Spach), წიფელი ( <i>Fagus orientalis</i> ), მაღალმთის მუხა ( <i>Quercus macranthera</i> R. et M.) და ინფორმაცია მათი დაფარულობის/სიხშირის შესახებ არ მოიპოვება.
	მავნებლების არარსებობა	ამ ტერიტორიაზე აღრიცხულია შემდეგი მავნებლები: მუხის ცხვირგრძელა ( <i>Curculio glandium</i> Marsh.), მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი ( <i>Tischeria ekebladella</i> Bjerk.) და არაფერდი პარკხვევია ( <i>Lymantria dispar</i> Linn.) აღნიშნული მავნებლების გავრცელება დაფიქსირებულ იქნა 2017 წლის ოქტომბრის თვეში ეროვნული პარკის თრიალეთის უბნის V, VI, და IX სარეინჯეროების საკვლევ ტერიტორიაზე (1273 ჰა). სხვა ტერიტორიებზე ინფორმაცია მათი გავრცელების და ფეთქებადობის/ეპიდემიის შესახებ არ არსებობს. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ასევე აღრიცხულია ვერხვის აბედა სოკო ( <i>Phellinus tremulae</i> ) და წიფლის სოკო ( <i>Pleurotus ostreatus</i> ). თუმცა ინფორმაცია მათი გავრცელების და ფეთქებადობის/ეპიდემიის შესახებ არ არსებობს.
სუბალპური ტყე	ფართობი (ჰა)	800 ჰა
	სტანდარტული კორომის მახასიათებლები	არ არსებობს განახლებული ტყის ინვენტარიზაციის მონაცემები.
	ძირითადი სახეობების არსებობა	წარმოდგენილია შემდეგი სახეობები: მაღალმთის მუხა ( <i>Quercus macranthera</i> R. et M.), სოჭი ( <i>Abies nordmanniana</i> (Stev.) Spach), ლიტვინოვის არყი ( <i>Betula litwinowii</i> Doluch) და ინფორმაცია მათი დაფარულობის/სიხშირის შესახებ არ მოიპოვება.
	მავნებლების არარსებობა	არცერთი მავნებელი არ არის აღრიცხული.
მდელოები	მდელოების უცვლელობა	არ არსებობს რაოდენობრივი მონაცემები (სამოვრის დეგრადაციის ინდექსი ან მსგავსი).
მდინარეები და ნაკადულები	მდინარის კალმახის ( <i>Salmo trutta</i> ) რიცხოვნობა (რაოდენობა)	არსებული მდგომარეობის შესახებ არ არსებობს სანდო ინფორმაცია.
მურა დათვი – ( <i>Ursus arctos</i> )	რიცხოვნება (რაოდენობა)	არსებული მდგომარეობის შესახებ არ არსებობს სანდო ინფორმაცია.
ფოცხვერი – ( <i>Lynx lynx</i> )	რიცხოვნება (რაოდენობა)	არსებული მდგომარეობის შესახებ არ არსებობს სანდო ინფორმაცია.

ევროპული შველი – ( <i>Capreolus capreolus</i> )	რიცხოვნება (რაოდენობა)	არსებული მდგომარეობის შესახებ არ არსებობს სანდო ინფორმაცია.
ფასკუნჯი – ( <i>Neophron percnopterus</i> )	მობუდარი წყვილების რაოდენობა	არსებული მდგომარეობის შესახებ არ არსებობს სანდო ინფორმაცია.

2. სხვა ღირებულებების მდგომარეობა: როგორც ზემოთ, მე-2 თავში აღინიშნა, ალგეთის დაცული ტერიტორიების სხვა ღირებულებები, ერთი მხრივ, მოიცავენ გეოლოგიურ ფასეულობებს, ისტორიულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ღირებულებებს და მეორე მხრივ, ღირებულებებს, რომლებიც უშუალოდ ეკოსისტემის სერვისებზეა დამოკიდებული (ზუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო, ტურისტული და საერთო სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები).

3. ალგეთის დაცული ტერიტორიების გეომორფოლოგიური ღირებულებები დიდწილად ხელუხლებელია. ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე მდებარე ისტორიული ძეგლები ცუდ მდგომარეობაშია და საჭიროებენ სამუშაოებს, რათა მოხდეს მათი კონსერვაცია და უსაფრთხო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

4. ალგეთის დაცული ტერიტორიების პოტენციური სამეცნიერო-საგანმანათლებლო, ტურისტული და საერთო სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები ამჟამად სრულყოფილად არ არის რეალიზირებული (იხ. ქვემოთ მუხლი 32-36).

**მუხლი 28. დაცული ტერიტორიის ძირითადი ღირებულებების პირდაპირი საფრთხეები**

1. ალგეთის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების პირდაპირ და არაპირდაპირი საფრთხეები მოცემულია ცხრილ 4-ში.

*ცხრილი 4: სამიზნე ღირებულებების პირდაპირი და არაპირდაპირი საფრთხეები*

პირდაპირი საფრთხე	დაკავშირებული არაპირდაპირი ფაქტორები	დაზიანებული ძირითადი ღირებულებები
ბრაკონიერობა	<ul style="list-style-type: none"> <li>ადგილობრივების შეზღუდული ცოდნა და დამოკიდებულება ალგეთის დაცული ტერიტორიების მიმართ;</li> <li>ინტერესი რეკრეაციულ ნადირობასთან დაკავშირებით;</li> <li>ნადირობაზე მოთხოვნა;</li> <li>ნადირობის ტრადიციები;</li> <li>ნანადირევ ხორცზე მოთხოვნა;</li> <li>აღსრულების ეფექტურობის შეზღუდვები;</li> <li>დარღვევების არაეფექტური გამოვლინება და რეინჯერების არასაკმარისი კვალიფიკაცია;</li> <li>ბრაკონიერობაზე არასაკმარისი ცოდნა;</li> <li>რეინჯერებისთვის სავსე აღჭურვილობის ნაკლებობა;</li> <li>გამოვლენილ შემთხვევებზე არაეფექტური რეაგირება;</li> <li>დაცულ ტერიტორიებზე სხვადასხვა ადგილიდან მარტივი შეღწევადობა;</li> </ul>	<p>ევროპული შველი</p> <hr/> <p>მურა დათვი</p>

გადაჭარბებული ძოვება	<ul style="list-style-type: none"> <li>• მეცხოველეობიდან მიღებულ შემოსავლებზე დამოკიდებულების მაღალი დონე;</li> <li>• შემოსავლების ალტერნატივების ნაკლებობა;</li> <li>• მწყემსობაზე დაფუძნებული მესაქონლეობის გაძლიერების სისტემა;</li> <li>• ზაფხულის საძოვრების სიმწირე;</li> <li>• საძოვრების მართვის გეგმის არარსებობა;</li> <li>• არასაკმარისი ცოდნა საძოვრების მართვასთან დაკავშირებით;</li> <li>• დაცული ტერიტორიების მიმდებარედ გაიჯარებული საძოვრების რაციონალურ გამოყენებაზე კონტროლის არარსებობა.</li> </ul>	<p>მდელოები</p> <hr/> <p>ევროპული შველი</p>
უკანონო ძოვება ტყეში	<ul style="list-style-type: none"> <li>• მეცხოველეობიდან მიღებულ შემოსავლებზე დამოკიდებულების მაღალი დონე;</li> <li>• შემოსავლების ალტერნატივების ნაკლებობა;</li> <li>• მწყემსობაზე დაფუძნებული მესაქონლეობის გაძლიერების სისტემა;</li> <li>• ზაფხულის საძოვრების სიმწირე;</li> <li>• ადგილობრივების შეზღუდული ცოდნა და დამოკიდებულება ალგეთის დაცული ტერიტორიების მიმართ;</li> <li>• კანონდარღვლების არასაკმარისი ეფექტურობა.</li> </ul>	<p>წიწვოვანი ტყე</p> <hr/> <p>შერეული და ფართოფოთლოვანი ტყე</p> <hr/> <p>სუბალპური ტყე</p> <hr/> <p>ევროპული შველი</p>
მწერები, სოკოები, მავნებლები	<ul style="list-style-type: none"> <li>• მავნებელი მწერების მონიტორინგის შეზღუდული შესაძლებლობები;</li> <li>• ფიტოპათოლოგიური კვლევის არარსებობა;</li> <li>• ადმინისტრაციის თანამშრომლების არასაკმარისი კვალიფიკაცია.</li> </ul>	<p>წიწვოვანი ტყე</p> <hr/> <p>შერეული და ფოთლოვანი ტყე</p>
უკანონო თევზჭერა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივების შეზღუდული ცოდნა და დამოკიდებულება ალგეთის დაცული ტერიტორიების მიმართ;</li> <li>• თევზაობაზე მოთხოვნა;</li> <li>• თევზაობის ტრადიციები;</li> <li>• აღსრულების ეფექტურობის შეზღუდვები;</li> <li>• დარღვევების არაეფექტური გამოვლენა და რეინჯერების არასაკმარისი კვალიფიკაცია;</li> <li>• ბრაკონიერობაზე არასაკმარისი ცოდნა;</li> <li>• გამოვლენილ შემთხვევებზე არაეფექტური რეაგირება.</li> </ul>	<p>მდინარეები, ნაკადულები</p>
ვიზიტორების, მიმდებარე მოსახლეობისა და მწყემსების მიერ გამოწვეული ზეგავლენა დაცულ ტერიტორიაზე და იქ გავრცელებულ ბიომრავალფეროვნებაზე,	<ul style="list-style-type: none"> <li>• ვიზიტორთა დიდი რაოდენობა და არათანაბარი გადანაწილება;</li> <li>• დაბინძურების წინააღმდეგ სუსტი კანონდარღვლება;</li> <li>• ვიზიტორთა ეფექტური მართვის არასაკმარისობა;</li> <li>• ვიზიტორთა შეზღუდული ინფრასტრუქტურა;</li> <li>• ადგილობრივების, ვიზიტორთა და მიმდებარე მოსახლეობის შეზღუდული ცოდნა და</li> </ul>	<p>წიწვოვანი ტყე</p> <hr/> <p>შერეული და ფართოფოთლოვანი ტყე</p> <hr/> <p>სუბალპური ტყე</p> <hr/> <p>მდელოები</p> <hr/> <p>მურა დათვი</p> <hr/> <p>ფოცხვერი</p>

ტერიტორიის დანაგვიანება	დამოკიდებულება ალგეთის დაცული ტერიტორიების მიმართ.	ევროპული შველი
		ფასკუნჯი
		მდინარეები და ნაკადულები
წყლის დაბინძურება	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიმდებარე დასახლებების მოუწესრიგებელი საკანალიზაციო ინფრასტრუქტურა;</li> <li>• საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების გატანის სისტემის არარსებობა/არასწორი პრაქტიკა;</li> <li>• რესურსების არარსებობა საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის მიმდებარე სოფლებში;</li> <li>• მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე შხამ-ქიმიკატების უსისტემო და უკონტროლო გამოყენება ფერმერების მიერ;</li> <li>• მიმდებარე მოსახლეობის, ვიზიტორების, ფერმერების ცნობიერების დაბალი დონე დაბინძურებასთან დაკავშირებით.</li> </ul>	მდინარეები, ნაკადულები (მდინარე ალგეთი, საყავრე ღელე, თხინვალას ხევი, ჭივჭავი, ხრამის ხევი)
ხე-ტყის უკანონო ჭრა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები, საწვავ შემაზე მაღალი მოთხოვნა;</li> <li>• ალტერნატიული საწვავის ნაკლებობა;</li> <li>• ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის არამდგრადი ტრადიციები;</li> <li>• აღსრულების ეფექტურობის შეზღუდვები;</li> <li>• დაცვის ინფრასტრუქტურის სათანადო რაოდენობის არარსებობა;</li> <li>• რეინჯერებისთვის აღჭურვილობის ნაკლებობა;</li> <li>• გარკვეული ბუნებრივი რესურსის სარგებლობით მიყენებული ზიანის გაცნობიერების დაბალი დონე;</li> <li>• რეიჯერთა არასაკმარისი კვალიფიკაცია კონფლიქტების მართვაში;</li> <li>• რეინჯერთა არასაკმარისი კვალიფიკაცია კანონდარსებულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;</li> <li>• მოუწესრიგებელი არსებული სატყეო გზები.</li> </ul>	წიწვოვანი ტყე
		შერეული და ფართოფოთლოვანი ტყე
		სუბალპური ტყე
		ევროპული შველი
		მურა დათვი
		ფოცხვერი
ტყის და მდელოს ხანძრები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტყის ხანძრების მართვის გეგმის არარსებობა;</li> <li>• ვიზიტორთა, მიმდებარე მოსახლეობის, მწყემსების ცნობიერების და დამოკიდებულების ნაკლებობა ალგეთის დაცული ტერიტორიების მიმართ;</li> <li>• ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის ნაკლებობა;</li> <li>• რეინჯერების არასაკმარისი კვალიფიკაცია;</li> <li>• მიმდებარე მოსახლეობის დაბალი ცნობიერება.</li> </ul>	წიწვოვანი ტყე
		შერეული და ფოთლოვანი ტყე
		სუბალპური ტყე
		მდელოები
		მურა დათვი
		ფოცხვერი
		ევროპული შველი

2. საფრთხეები სხვა ღირებულებების მიმართ: ალგეთის დაცული ტერიტორიების გეომორფოლოგიურ ღირებულებებს ამჟამად მნიშვნელოვანი საფრთხე არ ემუქრება. ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლების საფრთხეები მოიცავს ვიზიტორების მხრიდან დაზიანებებს, არასაკმარისი შესანარჩუნებელი ღონისძიებების შედეგად თანდათანობით ნგრევას.

3. ალგეთის დაცული ტერიტორიების სამეცნიერო-საგანმანათლებლო, ტურისტულ და საერთო სოციალურ-ეკონომიკურ ღირებულებებთან დაკავშირებული მთავარი საფრთხეები ისაა, რაც გავლენას ახდენს ეკოსისტემის შესაძლებლობებზე, რათა უზრუნველყოს ეკოსისტემის სერვისები, რომლებიც მხარს უჭერენ ამ ღირებულებებს, ანუ იმ საფრთხეებს, რომლებიც ჩამოთვლილია მე-4 ცხრილში.

## **მუხლი 29. ბუნებრივი რესურსების დაცვა და პატრულირება**

1. ალგეთის დაცული ტერიტორიები ესაზღვრება თეთრიწყაროს, წალკის და კასპის მუნიციპალიტეტების რამდენიმე სოფელს; შესაბამისად ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და ანთროპოგენური ზეწოლა ბიომრავალფეროვნების ღირებულებებზე უფრო ინტენსიურია ალგეთის დაცული ტერიტორიების ამ მონაკვეთებზე.

2. ადმინისტრაციას არ გააჩნია ტერიტორიის დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. დაცვის ღონისძიებების განხორციელება ხდება წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად.

3. ალგეთის ეროვნული პარკის ძირითადი, ყოფილი ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიები 1965 წლიდან იყო საკონსერვაციო დაცვის ქვეშ. თუმცა 1990-იან წლებში მასშტაბურმა ბრაკონიერობამ და ბუნებრივი რესურსების უკონტროლო გამოყენებამ საფრთხის ქვეშ დააყენა ბევრი სახეობის არსებობა.

4. ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიები დაყოფილია ალგეთისა და თრიალეთის უბნებად. სულ ორივე უბანზე არის 12 სარეინჯერო. აქედან 9 სარეინჯერო თრიალეთის უბანზე, ხოლო 3 სარეინჯერო ალგეთის უბანზე.

5. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილებას ხელმძღვანელობს დაცვის განყოფილების უფროსი და დაკომპლექტებულია 2 უბნის უფროსი რეინჯერით, 10 რეინჯერით და 1 ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტით. 2018 წელს ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას დაემატა 7 რეინჯერის შტატი.

6. 2016 წლის განმავლობაში დაფიქსირდა 10 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, აქედან 7 შემთხვევა უკანონო ჭრახე. 26 სამართალდარღვევა გამოვლინდა 2015 წელს და 13 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გამოვლინდა 2014 წელს. გარდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა, ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე მოხდა სისხლის სამართლის დანაშაულებიც: 2016 წელს 7 შემთხვევა, 2015 წელს 6, ხოლო 2014 წელს 3. მათ შორის 12 დანაშაული უკავშირდება დიდი რაოდენობით ხე-ტყის უკანონო ჭრას, 1 კი ნადირობას. ფაქტების გამოვლენის ეფექტურობის სისტემატური შეფასება არ ჩატარებულა.

7. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, SPPA საქართველოს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ძალისხმევით მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო ტურში როგორც საქართველოში ასევე უცხოეთის წამყვან ეროვნულ პარკებში. გაეცნენ ლაგოდების, ბორჯომ-ხარაგაულის და თუშეთის დაცული ტერიტორიების საქმიანობას (ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი, კანონალსრულება, დამხმარე ზონის განვითარება); ასევე მონაწილეობეს გერმანიის რონის ბიოსფერული რეზერვატი და ბავარიის ტყის ეროვნულ პარკი, სადაც გაეცნენ დაცული ტერიტორიების მმართველობას ზოგადად, საზოგადოების მონაწილეობის ფორმებს, ეკოგანათლების და ბიომრავალფეროვნების კვლევა-მონიტორინგის პრინციპებსა და



სხვა. გარდა ამისა, რეინჯერებმა სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში შეისწავლეს იარაღის გამოყენება და დამრღვევთან ურთიერთობის საკითხები. ადმინისტრაციაში საკუთარი რესურსით ატარებენ სავსელ ტრენინგებს რეინჯერებისთვის, რომელიც მოიცავს GPS-ის გამოყენებას, სამართალდარღვევის ოქმების შედგენას და სხვა.

8. 2015-2016 წლებში განხორციელდა ალგეთის ეროვნული პარკის და ბუნების ძეგლების ადმინისტრაციის საზღვრების დაზუსტება და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. სხვადასხვა შემთხვევებში მოქალაქეების მიერ ხდება ტერიტორიაზე უკანონო შეღწევა, რაც მათივე განმარტებით, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ არ არსებობს გაფართოებული საზღვრისთვის საკმარისი სასაზღვრო ნიშნულები (ამჟამად არსებობს 22 სასაზღვრო ნიშნული).

9. დაცული ტერიტორიების ტერიტორიის დაცვა ხორციელდება პატრულირების მეშვეობით. ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულია 37 საფეხმავლო და 8 სამანქანო საპატრულო მარშრუტები. მათ შორის 2 ღამის სამანქანო საპატრულო მარშრუტი. მარშრუტებზე პატრულირების ინტენსივობა იცვლება სეზონების და ანთროპოგენური რისკების შესაბამისად.

### **მუხლი 30. ადამიანური რესურსები**

1. გერმანიის განვითარების ბანკის (KFW) დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა SPPA-საქართველოს მხარდაჭერით შემუშავდა სსიპ – საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია. სტრატეგიის მიხედვით დაცული ტერიტორიების სააგენტოს წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

- ა) სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება;
- ბ) სამუშაო აღწერილობის შემუშავება ყველა პოზიციისთვის;
- გ) პერსონალის განვითარების სტრატეგიის შემუშავება (დასრულდა 2015/16 წლებში);
- დ) პერსონალის მატერიალური და არამატერიალური წახალისების გამჭვირვალე სისტემის დანერგვა;
- ე) მოხალისეების მოზიდვა.

2. არსებულ პერსონალს არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია.

3. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციაში არსებულ ადამიანურ რესურსებს შესწევს უნარი მისი ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად, იგი არ უნდა ჩაითვალოს სრულყოფილად, ვინაიდან ადმინისტრაციის ძირითად პრობლემას დღესაც ბუნებრივი რესურსების უკანონო მოხმარება და დაცვის რეჟიმის სრულად განხორციელება წარმოადგენს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია ადამიანური რესურსების დენადობა, რის გამოც საჭიროა რეინჯერების და ახლად შევსებული კადრების სისტემატური ტრენინგი. ამასთან ამჟამინდელი რეინჯერებიც საჭიროებენ თეორიულ და პრაქტიკულ ტრენინგებს ისეთ დამატებით სფეროებში, როგორებიცაა პირველადი დახმარება, მერქნიანი მცენარეების იდენტიფიცირება, ცხოველთა სახეობების იდენტიფიცირება კვალზე დაყრდნობით, ხის მოცულობის გაანგარიშება ხის სახეობათა სპეციალური ცხრილების გამოყენებით, ზიანის გაანგარიშება, მერქნიანი სახეობების ზოგადი მდგომარეობის შეფასება, ეროვნულ და გლობალურ დონეზე საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების ზოგადი ცოდნა, GIS-ის ზოგადი ცოდნა და GPS-ის საშუალებით მონაცემების შეგროვების შესაძლებლობები. სასურველია ცოდნის გაღრმავება სანიმუშო ფართობების აღებაში და მერქნიანი მცენარეების აღრიცხვა დენდრომეტრიული საშუალებით.

4. ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლების ანაზღაურება დაბალია, რაც ხშირად თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციის დატოვების და სხვა სამსახურში გადასვლის მიზეზია.

**მუხლი 31. ადმინისტრაციის მდგომარეობა, ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა**

1. 2018-2019 წლიდან ალგეთის ეროვნულ პარკს აქვს კეთილმოწყობილი ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი.
2. ადმინისტრაციას არ გააჩნია დაცვისათვის სრულფასოვანი სავეღე ინფრასტრუქტურა.
3. ადმინისტრაციას გააჩნია 2 ერთეული პიკაპის ტიპის ტოიოტა ჰაილუქსის მარკის ავტომანქანა, 2 მიცუბიში L 200 ტიპის ავტომანქანა და 1 სუზუკი ჟიმნი, რომელიც 2015 – 2018 წლებში შეუძინა SPPA-საქართველომ.
4. ამჟამად ადმინისტრაციის დაცვის განყოფილებას გააჩნია შესაბამისი სახანძრო ინვენტარი, 15 ცალი ჭოგრიტი, 3 ცალი ღამის ხედვის ხელსაწყო, 13 ფანარი, 6 ციფრული ფოტოაპარატი, 59 ცალი ფოტოხაფანგი, 8 ერთეული ხელის რაცია, 5 GPS, 8 ცალი საძილე ტომარა, 7 ცალი კარავი, 18 ცალი პატარა ზურგჩანთა.
5. რეინჯერების გარკვეული აღჭურვილობა ცუდ მდგომარეობაშია და საჭიროებს შეცვლას მაგ.: უნიფორმა, გარკვეული სახანძრო აღჭურვილობა (ჩაფხუტი, წყლის მისასხურებელი აპარატი, სახანძრო უნიფორმა) ადმინისტრაციის თანამშრომლების შეფასებით, დამატებით საჭიროა რეინჯერთა აღჭურვილობის შესყიდვა: სამაშველო აღჭურვილობის კომპლექტი, 30 ცალი ფოტომახე, 2 ცალი ღამის ხედვის ხელსაწყო, 10 ცალი სამხრე კამერა, 6 ცალი ჭოგრიტი, 5 ცალი GPS, 10 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი (ვინჩესტერი). ჩამოთვლილი საჭიროებები არ ეფუძნება სისტემატურ შეფასებას.
6. ადმინისტრაციის მენეჯმენტის შეფასებით, დაცვის ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებისთვის ადმინისტრაციას დამატებით ესაჭიროება ადგილობრივ ლანდშაფტურ პირობებს მორგებული 3 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომანქანა და 2 ცალი კვადროციკლი (ალგეთის ეროვნული პარკისა და დაშაშის, სამშვილდის კანიონების ბუნების ძეგლებისთვის).
7. დაცვის და ვიზიტორთა სამსახურების გამართულად ფუნქციონირებისთვის, საჭიროა შეიქმნას დაცვის და ვიზიტორთა ინტეგრირებული ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს 3 ცალ რეინჯერთა სადგურს და რეინჯერთა თავშესაფრებს.

**მუხლი 32. დაფინანსება**

1. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის წინაშე არსებული მთელი რიგი პრობლემების ძირითადი მიზეზია არასაკმარისი დაფინანსება. დღეის მდგომარეობით ადმინისტრაცია დაფინანსებას იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მიღებული საკუთარი შემოსავლებიდან, CNF-დან და SPPA-საქართველოდან (ცხრილი 5).

*ცხრილი 5: ადმინისტრაციის დაფინანსება 2017-2019 წწ.*

დაფინანსების წყარო	2017	2018	2019
სახელმწიფო ბიუჯეტი (ლარი)	75382.37	121900	146899
საკუთარი შემოსავლები (ლარი)	71866.87	157413	212740
CNF (ლარი)	55116.14	47061	78577
KFW/SPPA საქართველო (ევრო)	372,443	146,588	299,250

<b>ჯამი</b>	<b>1,505,915.88</b>	<b>839,432.00</b>	<b>1,485,591.00</b>
-------------	---------------------	-------------------	---------------------

2. ადმინისტრაციისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საკუთარი შემოსავლების ნაწილის გაჩენა გრძელვადიან პერიოდში (ამ ეტაპზე ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას „თოკების პარკიდან“ გააჩნია საკუთარი შემოსავლები). ამისთვის ალგეთის დაცულ ტერიტორიებს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი ეროვნულ პარკსა და მიმდებარე ბუნების ძეგლებზე შესაბამისი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის და ატრაქციონების მოწყობის შემდეგ ბუნების ძეგლებზე შესასვლელი გადასახადის დაწესებით (ბირთვისი, სამშვილდეს და დაშბაშის კანიონი).

3. სხვადასხვა ღონისძიებისთვის დაფინანსების მოძიება შესაძლებელია ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის საშუალებით. ამის გამოცდილება საქართველოს სხვა დაცულ ტერიტორიებზე უკვე არსებობს (ლაგოდების დაცული ტერიტორიები, ვაშლოვანის ეროვნული პარკი, თუშეთის დაცული ტერიტორიები).

### **მუხლი 33. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა**

1. ალგეთის ეროვნული პარკი მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის საშეშე მერქნით მომარაგების ძირითადი წყაროა. 2014 წელს გაიცა 648 მ<sup>3</sup>., 2015 წელს – 531 მ<sup>3</sup>, ხოლო 2016 წელს 695 მ<sup>3</sup> საშეშე მერქანი.

2. ადმინისტრაციას არ გააჩნია ტყის მართვის გეგმა და გამოსაყოფი საშეშე მერქნის რაოდენობა წლიდან წლამდე განისაზღვრება ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების მიერ, დადგენილი რეგულაციების მიხედვით.

3. ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს ალგეთის ეროვნული პარკის სხვადასხვა არამერქნული რესურსით. კერძოდ, აგროვებენ ჟოლოს და მაცვალს (*Rubus spp.*), შინდს (*Cornus mas*), პანტას (*Malus spp.*), ზღმარტლს (*Mespilus germanica*), ტყემალს (*Prunus spp.*), სოკოს, სამკურნალო მცენარეებს და სხვა.

4. ადმინისტრაციის მონაცემებით, ალგეთის ეროვნული პარკის საზღვრებში არის 1,948 ჰა საძოვარი, სადაც დაახლოებით 700 სულამდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 300-მდე წვრილფეხა პირუტყვი ძოვს, ასევე ალგეთის ეროვნული პარკის საძოვრებზე 90-მდე შინაური ღორი მოიპოვებს საკვებს, მათ შორის ტყეშიც.

5. მდინარე ალგეთის და მისი შენაკადებიდან წყალაღება ხდება მიმდებარე სოფლებისთვის: დიდი და პატარა ნამტვრიანი, ნაპილნარი, არხოტი, ჭინჭრიანი, ზემო-ჭინჭრიანი, თხინვალა, კოდა, შეხვეტილა, ჯვრისხევი და მანგლისი.

6. ადმინისტრაციის ინფორმაციით, ბოლო წლებში, პარკის ტერიტორიაზე მოიმატა მტაცებელი ცხოველების რაოდენობამ და გახშირდა თავდასხმები შინაურ პირუტყვზე. ბოლო სამი წლის განმავლობაში დაფიქსირებულია 37 შემთხვევა.

### **მუხლი 34. ეკოტურიზმი**

1. SPPA-საქართველოს მხარდაჭერით მომზადდა ალგეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია და ტურიზმის საინვესტიციო გეგმა, რომელზე დაყრდნობითაც აღნიშნულ დაცულ ტერიტორიებზე განხორციელდება ეკოტურისტული საქმიანობები და მოხდება ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

#### **ა) ალგეთის ეროვნული პარკი:**

იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას 2019 წლამდე არ გააჩნდა ვიზიტორთა ცენტრი, არ არსებობდა ვიზიტორთა რაოდენობასთან დაკავშირებული სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემები. არსებული ინფორმაციით, ალგეთის ეროვნულ პარკს

2019 წლის განმავლობაში **37 758** ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 14%-ით არის გაზრდილი. ქართველი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის თითქმის 96% (36305 ქართველი ვიზიტორი), ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა დაახლოებით 4%-ს ( 1453 უცხოელი ვიზიტორი). 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით ქართველი ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია დაახლოებით 12%-ით, ხოლო უცხოელების რაოდენობა დაახლოებით 68%-ით.

ასევე, არ არსებობს ვიზიტორთა მიერ საცხენოსნო მარშრუტების გამოყენების ზუსტი სტატისტიკურ მონაცემთა ბაზა, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნული სახის ტურების ორგანიზება ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ჩართვის გარეშე ხორციელდებოდა. სავარაუდოა, რომ 2019 წელს 1,000-მა ვიზიტორმა ისარგებლა ცხენების გაქირავების სერვისით.

ვიზიტორთა ჯგუფებს უმეტესად წარმოადგენენ სასკოლო ექსკურსიები და რელიგიური ტურიზმით დაკავებული ვიზიტორები (პილიგრიმები). მცირე მიზნობრივ ჯგუფებს განეკუთვნებიან ინდივიდუალურად მოლაშქრე და სამთო ველოსიპედებით მოგზაური ტურისტები.

#### **ბ) დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლი:**

ბოლო წლების განმავლობაში, დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლი მაღალ მონახულებად და დინამიურ ტურისტულ მიმართულებად იქცა. აქ არ არსებობს ვიზიტორთა რეგისტრაციის ან მათი დათვლის ნათლად ჩამოყალიბებული პორცედურები, თუმცა რეინჯერების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2019 წელს 11 327 ვიზიტორი ესტუმრა.

#### **გ) ბირთვისის ბუნების ძეგლი:**

ბირთვისის ფართო პოპულარობით სარგებლოს ფეხით მოლაშქრე ტურისტებსა და მოსწავლე-ახალგაზრდების ჯგუფებს შორის. ასევე, ამ ადგილს ხშირად საპიკნიკედ ჩასული ვიზიტორებიც სტუმრობენ. კანიონში ხშირად ტარდება სასკოლო და სტუდენტური ექსკურსიები. აქაც არ წარმოებს ვიზიტორთა რაოდენობის ოფიციალური აღრიცხვა, მაგრამ 2019 წელს კანიონს სავარაუდოდ 10, 000 ვიზიტორი ეწვია, რომელთა უმეტესი წილი ტერიტორიას ზაფხულის სეზონზე ესტუმრა.

#### **დ) სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლი:**

სამშვილდის კანიონის სანახავად მოსული ვიზიტორების რიცხვი ბოლო პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად გაზრდილია; ტერიტორია წარმოადგენს პოპულარულ საექსკურსიო მიმართულებას ადგილობრივ მოსახლეობაში (საპიკნიკედ მისული ექსკურსანტები, სასკოლო ექსკურსიები); ასევე, რამდენიმე მსხვილი ტუროპერატორი კომპანია ახორციელებს ტურებს უცხოელი ვიზიტორთა ჯგუფებისათვის. სავარაუდოდ, სამშვილდის ბუნების ძეგლს ამ დრომდე უკვე 7,000 ვიზიტორი ეწვია.

2. ამ დროისთვის, ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმი არაორგანიზებული სახით ვითარდება, რაც განპირობებულია შემდეგი პრობლემებით:

ა) ალგეთის დაცული ტერიტორიები ტურისტული თვალსაზრისით საინტერესოა, თუმცა დღეისათვის ტურისტული ინფრასტრუქტურა ძალიან მწირია, საჭიროა ნიშნულებისა და საინფორმაციო დაფების განთავსება ცენტრალურ და ადგილობრივ გზებზე, რომლებზედაც მითითებული იქნება ინფორმაცია დაცული ტერიტორიის შესახებ და მანძილი ეროვნულ პარკამდე;

ბ) ეკოტურისტული მარშრუტების, თავშესაფრების და საპიკნიკე ადგილების არ არსებობა/გაუმართაობა;

გ) არ არის საკმარისად ცნობადი ადგილობრივ და ჩამოსულ ვიზიტორთა შორის;

დ) ვიზიტორები ხშირად თვითონ, ადმინისტრაციასთან დაკავშირების გარეშე სტუმრობენ ტურისტულ მარშრუტებს, რომლებიც პარკის ადმინისტრაციიდან საკმაოდ დაშორებულია; აქედან

გამომდინარე, ისინი ვერ იღებენ ინფორმაციას ეროვნული პარკის მნიშვნელობისა და პარკში ქცევის წესების შესახებ;

ე) არ არსებობს საკმარისი საინფორმაციო მასალა პარკისა და მისი ღირსშესანიშნაობების შესახებ სხვადასხვა ასაკობრივი და სხვადასხვა ინტერესის მქონე ჯგუფისთვის, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, ან სხვა დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრებში;

ვ) ადმინისტრაციაში არსებული საინფორმაციო მასალები, რომელთა თან წაღებასაც შეძლებდნენ ვიზიტორები; მაგალითად, ბროშურები, წიგნები, საფოსტო ბარათები და სხვა, მწირია;

ზ) ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს სალაშქრო აღჭურვილობის გაქირავების სერვისებს;

თ) 2019 წელს აგვისტოს თვიდან ალგეთის ეროვნულ პარკს აქვს ტურისტული სერვისი: „თოკების პარკი ატრაქცია“ და შესაბამისად ამ ტურისტული სერვისიდან მიღებული შემოსავალი.

### **მუხლი 35. ეკოგანათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა**

1. ეკოგანათლებასა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული გრძელვადიანი მიზნები მოცემულია მე-20 მუხლში; ამჟამინდელი სიტუაცია შემდეგნაირია:

ა) მოსახლეობის ფართო ფენების მიერ დაცული ტერიტორიების მნიშვნელობისა და როლის გააზრება როგორც ქვეყნის, ასევე მომავალი თაობების საკეთილდღეოდ და მათ მიერ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის ნაწილის დაცვის იდეა მხარდაჭერილია;

ბ) მოსახლეობის ფართო ფენებში მაღალი ეკოლოგიური ცნობიერება ჩამოყალიბებული;

გ) მოსახლეობის ჩართულობის მაღალი დონე გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით;

დ) მოსახლეობის ფართო ფენების თანადგომის მოპოვება დაცულ ტერიტორიებზე ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით.

2. ველური ბუნების და ეკოსისტემების არსის სრული გააზრებისათვის, ეკოსაგანმანათლებლო პროგრამა ინტერპრეტაციის სხვადასხვა ფორმას გაითვალისწინებს, ხაზს გაუსვამს რა დაცული ტერიტორიების როლსა და მნიშვნელობაზე ბიომრავალფეროვნების დაცვის საქმიანობაში. პროგრამა მხარს დაუჭერს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გარემოს დაცვის კუთხით მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებს; ასევე წარმოდგენილი იქნება ვიზიტორებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად.

3. 2016 წელს, SPPA-საქართველოს დაკვეთით მომზადდა ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ალგეთის ეროვნული პარკის, დამბაშისა და სამშვილდის კანონების და ბირთვისის ბუნების ძეგლების შესახებ ცნობადობის ამაღლებისა და საზოგადოების ინფორმირების კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დანიშნულებაა, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ მოსახლეობასა და ვიზიტორებს, ასევე ზოგადად საქართველოს მოსახლეობას, სხვადასხვა ეფექტური არხითა და საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია მათი შექმნის მიზნების, მოქმედი რეგულაციების, ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობებისა და სხვა საკითხების შესახებ. სტრატეგია ეფუძნება 2015 წელს “გვა კონსალტინგ გრუპის წარმომადგენლობა საქართველოში” მხარდაჭერით ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღქმისა და გათვითცნობიერებულობის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგებს, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ შეხვედრებს და სიღრმისეულ ინტერვიუებს, ასევე თავად ადმინისტრაციის თანამშრომლების მოსაზრებებს, გამოცდილებას და ექსპერტების დაკვირვებებს.

4. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების საკომუნიკაციო საქმიანობა ამჟამად, უმეტესად, ადგილობრივ მოსახლეობაზე და ვიზიტორებზეა მიმართული. სხვადასხვა საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირება, ძირითადად საკმაოდ ინტენსიურად, პირდაპირი კონტაქტით/ზეპირი ფორმით ხორციელდება. ასევე ეწყობა ფორმალური შეხვედრებიც, მაგრამ შედარებით ნაკლები ინტენსივობით.

5. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას გააჩნია საკუთარი სოციალური ქსელის (ფეისბუქის) გვერდი, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ფოტო და ვიდეო მასალები, ასევე ინფორმაცია ადმინისტრაციის მიერ გაწეული საქმიანობებისა და პარკთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის საშუალო ასაკისა და ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ამ რესურსის გამოყენების სარგებელი ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, არც თუ ისე მაღალია. ადმინისტრაციას არ აქვს საკუთარი ვებგვერდი, ან რაიმე ბეჭდური მასალა, რომელიც ადმინისტრაციის საქმიანობასა თუ კონკრეტულ დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირებულ მოვლენებს აშუქებს.

6. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს (“ბუნების მატრიანე”), რომელიც ძირითადად ელექტრონული ფორმატით მზადდება და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ანგარიშგებისათვის გამოიყენება. მოსახლეობას, აღნიშნული ანგარიში რაიმე სახით ან ფორმით არ მიეწოდება და შესაბამისად, მათთვის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ნაკლებად რელევანტურია.

7. ადმინისტრაცია, უმეტესწილად წარმატებით თანამშრომლობს ადგილობრივ ახალგაზრდებთან, რომლებიც საკმაოდ ხშირად და აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა ეკოლოგიურ თუ საგანმანათლებლო ღონისძიებაში. თუმცა, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მათ არ გააჩნიათ შესაბამისი ბერკეტები (მაგ., მატერიალური წახალისება), რომლითაც მონდომებული ახალგაზრდების დაჯილდოება, თუ მათ მიერ შეტანილი წვლილის რაიმე სახით დაფასება გახდებოდა შესაძლებელი.

8. ეროვნული პარკის მიმდებარე სკოლებში ყოველწლიურად იმართება ღონისძიებები სხვადასხვა სახის ეკოლოგიური პრობლემის თემატიკასთან დაკავშირებით, როგორცაა მაგალითად დაბინძურების პრობლემა, ბრაკონიერობა, ხე-ტყის უკანონო ჭრა და ა.შ.

9. ეწყობა ისეთი სპეციალური გარემოსდაცვითი ღონისძიებები ე. წ. „მწვანე კალენდრის“ მიხედვით, როგორცაა 1 აპრილი – ფრინველთა დაცვის საერთაშორისო დღე, 22 აპრილი – დედამიწის საერთაშორისო დღე, 15 მაისი – კლიმატის საერთაშორისო დღე, 22 მაისი – ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე, 5 ივნისის მსოფლიო გარემოსდაცვითი დღე, 4 ოქტომბერი – ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღე. ღონისძიებების მიზანია გლობალური ცნობიერების ამაღლება და პოზიტიური გარემოსდაცვითი საქმიანობების განხორციელება.

10. ალგეთის ეროვნული პარკის მიმდებარე ზონის დასახლებების სკოლებში, 2019 წელს ჩატარდა 18 ლექცია-სემინარი და პრეზენტაცია, 2 – მწვანე აქცია, 5 – ეკო-ტური, 4 – დასუფთავების აქცია.

11. ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული ადგილობრივ სკოლებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესის წარმართვაში, მასპინძლობს სტუდენტურ ჯგუფებს და ადგილობრივ მოსახლეობასთან აწყობს სხვადასხვა სახის შეხვედრებს. 2019 წელს სულ 2182-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ეკოსაგანმანათლებლო აქტივობებში, რომლებიც დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ეგიდით განხორციელდა.

12. ადმინისტრაცია მჭიდროდ ურთიერთობს ადგილობრივ მოსახლეობასთან, აწყობს რა პერიოდულ შეხვედრებს, რათა გააცნოს მათ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საქმიანობა, დაცული ტერიტორიების წესები და რეგულაციები. შეხვედრები ტარდება როგორც ადგილობრივ

მოსახლეობასთან, ასევე ყველა დაინტერესებული მხარესთან. 2019 წლის განმავლობაში, ადგილობრივ მოსახლეობასთან 26 შეხვედრა მოეწყო.

13. ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის მართვა:

ა) ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის მართვაზე პასუხისმგებელია ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტი.

ბ) ქმედებები, რომლებიც უკავშირდება ეკოგანათლებლასა და საზოგადოებასთან ურთიერთობას, თანხმდება და იმართება ცენტრალიზებულად – დაცული ტერიტორიების სააგენტოს უშუალო კონტროლის ქვეშ.

14. ეკოგანათლებლასთან დაკავშირებული პრობლემები და შესაძლებლობები:

ა) ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას არ გააჩნია საჭირო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, რომელიც საშუალებას მისცემს მას, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად აწარმოოს ეფექტური ეკოსაგანმანათლებლო და შემეცნებითი საქმიანობა.

ბ) სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა – „ერთი დღე რეინჯერთან ერთად“, ითვალისწინებს დაცულ ტერიტორიაზე სკოლის მოსწავლეების შემეცნებით ლაშქრობას ადგილობრივი რეინჯერის თანხლებით. პროგრამის მიზანია მომავალი თაობების უფრო მეტად დაახლოება ბუნებასთან და მათი ჩართვა პრაქტიკულ საქმიანობებში, რაც მოითხოვს ადმინისტრაციის თანამშრომლების გადამზადებას საინტერპრეტაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის კუთხით.

გ) ეკოსაგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობისათვის საჭიროა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ზუსტი იდენტიფიცირება და მათზე მორგებული ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების მომზადება.

დ) სასურველია მოეწყოს ეკოსაგანმანათლებლო ბილიკები და მოხდეს სკოლის მოსწავლეების ჩართვა აღნიშნული ბილიკების მოვლა-პატრონობის საქმიანობაში.

ე) სეზონის განმავლობაში (ზაფხული), ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ სასურველია გამოყოს სპეციალურად შერჩეულ ადგილები, სადაც ალგეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციას ან სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს შესაძლებლობა ექნებათ მოაწყონ სავიწრო ეკობანაკები.

15. საზოგადოებასთან ურთიერთობა:

ა) ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობა მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. იგი ხელს უწყობს დაცული ტერიტორიის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებას, ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას და ცნობიერებას ეროვნულ პარკთან მიმართებაში; ყოველივე ეს კი განაპირობებს საზოგადოების ჩართულობას დაცული ტერიტორიების განვითარების პროცესში და ზრდის ადმინისტრაციის მენეჯმენტის ეფექტიანობას.

ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობა ხორციელდება ცენტრალიზებულად, დაცული ტერიტორიების სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ, ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ჩართულობით.

გ) საზოგადოებასთან ურთიერთობა ხორციელდება შემდეგი რესურსების გამოყენებით: საინფორმაციო მასალები, დაცული ტერიტორიების ვებგვერდი [apa.gov.ge](http://apa.gov.ge), ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით როგორცაა: Facebook, Instagram, Twitter და youtube.

დ) ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობა და მუდმივი კონტაქტი.

ე) დაცული ტერიტორიების სააგენტო თანამშრომლობს ცენტრალურ მედიასთან.

ვ) დაცული ტერიტორიების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობების ძირითად მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენს მასმედია, ტუროპერატორი კომპანიები, მოსწავლე-ახალგაზრდები და ადგილობრივი მოსახლეობა.

### **მუხლი 36. პარტნიორული თანამშრომლობა**

1. SPPA-საქართველოს დახმარებით შექმნილია და ფუნქციონირებს ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაცია, რომელიც დონორის მიერ დაფინანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პროექტების ახორციელებს და მხარს უჭერს სხვადასხვა ადგილობრივ ჯგუფებს. მეგობართა ასოციაციამ დააფუძნა შპს „შეხვეტილა“, რომელიც მეფუტკრეობით და მეფუტკრეობისთვის გარკვეული აღჭურვილობის დამზადებით არის დაკავებული. ამ ორგანიზაციის მოგება ხმარდება მეგობართა ასოციაციის საქმიანობას.
2. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში შეიქმნა ალგეთის ეროვნული პარკის რეგიონული მრჩეველთა საბჭო, რომელშიც შედიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და თემის ლიდერები. საბჭო მონაწილეობს ეროვნული პარკის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, მიმდებარე დასახლებების სოფლების სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ამაღლების მიზნით და ეცნობა ადმინისტრაციის მიმდინარე საქმიანობას.
3. ასევე ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას გააჩნია საკონსულტაციო-სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობა განსაზღვრულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით. საბჭოს წევრების შემადგენლობა საჭიროებს განახლებას.
4. მნიშვნელოვანია ასევე პარტნიორული და საქმიანი ურთიერთობების დამყარება და განვითარება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან: პოლიცია, სამაშველო სამსახური (112), მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის გუბერნია, სატყეო სააგენტო, გარემოს ზედამხედველობის სამსახური, ადგილობრივი და ეროვნულ დონეზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა.

### **მუხლი 37. კვლევა-მონიტორინგი**

1. ამჟამად ალგეთის დაცული ტერიტორიების ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებების ან მათი საფრთხეების სისტემატური მონიტორინგი არ წარმოებს.
2. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილება ამზადებს ყოველწლიურ ბუნების მატანეს დაცული ტერიტორიების შესახებ, რომელიც ასევე შეიცავს მეტეოროლოგიურ მონაცემებს, სახეობებზე შემთხვევითი დაკვირვების მონაცემებს, საფრთხეში მყოფი სახეობების და ჰაბიტატების ჩათვლით, აგრეთვე გარე მკვლევრებისა და მეცნიერებების საქმიანობების შესახებ ანგარიშებს, რომლებიც ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე მუშაობენ.
3. არსებობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და კვლევის ცენტრის NACRES-ის მიერ 2004 წელს შემუშავებული მონიტორინგის სახელმძღვანელო დოკუმენტი – „ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი ძირითად დაცულ ტერიტორიებზე“, რომლის მიხედვით ხორციელდება მცირე სახის მონიტორინგი ფოტო ხაფანგის, ვიზუალური დათვალიერების და კვალზე დადევნების საშუალებით.
4. ბიომრავალფეროვნების ყველა ძირითადი ღირებულება, რომელიც აღწერილია მე-13 მუხლში საჭიროებს მონიტორინგს, მათ შორის: მურა დათვი (*Ursus arctos*), ევროპული შველი (*Capreolus capreolus*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*), ტყის და მდელოს ეკოსისტემები (მუხლი 12, პუნქტი „ე“).



## თავი V. დაცული ტერიტორიის შიდა ზონირება

### მუხლი 38. ალგეთის ეროვნული პარკის ფუნქციური ზონები

1. ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის ტერიტორიულ-ფუნქციური ზონირების მიზანია, მასზე არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვის, ამ რესურსების გამოყენების, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობის განვითარების საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება.

2. ალგეთის ეროვნული პარკის თავისებურებების გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი ძირითადი მიზნების, რესურსებით სარგებლობისა და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის გათვალისწინებით, ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ზონები (ზონირება დატანილია რუკაზე დანართ 18-ში, ზონების კოორდინატები მოცემულია დანართ 19-ში):

ა) **ბუნების მკაცრი დაცვის ზონა**, რომელიც შექმნილია იმ ხელუხლებელი ბუნებისა და ჰაბიტატის შესანახუნებლად, რომლებიც ძალიან ახლოს არიან თავიანთ ბუნებრივ მდგომარეობასთან, ასევე არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევებისა და ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების ჩასატარებლად. ბუნების მკაცრი დაცვის ზონა მოიცავს ალგეთის ეროვნული პარკის იმ ნაწილებს, რომლებზეც ანთროპოგენური ზეგავლენა ძალიან უმნიშვნელო იყო. ეს ზონა წარმოადგენს ნაკლებად სახეცვლილ ეკოსისტემებს, გადაშენების პირას მყოფ ცხოველთა და მცენარეთა ძირითადი ჰაბიტატების გავრცელების არეალს.

ბ) **ტრადიციული გამოყენების ზონა**, რომელიც ეწყობა გარემოს დაცვის, ასევე განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციული გამოყენების მიზნით. ტრადიციული გამოყენების ზონა მოიცავს ალგეთის ეროვნული პარკის იმ ნაწილებს, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება პარკის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოსაპოვებლად.

### მუხლი 39. ალგეთის ეროვნული პარკის ფუნქციური ზონების ტერიტორია და საზღვრები

1. ალგეთის ეროვნული პარკის ფართობი განისაზღვრება „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით და შეადგენს 8 768 ჰა-ს.

2. ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამოყოფილი ფუნქციური ზონების ფართობებია:

ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა – 2 983 ჰა;

ბ) ტრადიციული გამოყენების ზონა – 5 785 ჰა.

### მუხლი 40. ალგეთის ეროვნული პარკის თითოეულ ზონაში, დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლის, ბირთვისის ბუნების ძეგლისა და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლის ტერიტორიებზე დაშვებული საქმიანობები

1. ალგეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა და მონიტორინგისა;

ბ) საგანმანათლებლო საქმიანობისა და საგანმანათლებლო მიზნით ვიზიტორების გადაადგილებისა;

გ) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით ავტო-, მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილებისა;

დ) ტერიტორიის ფიზიკური დაცვის მიზნით რეინჯერების საპატრულო ბილიკებსა და გზებზე ფეხით, ცხენით და ავტოტრანსპორტით გადაადგილებისა. საპატრულო ბილიკებისა და გზების შეკეთებისა;

ე) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა.

2. ალგეთის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისა;

ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მის ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების დაცვის, მოვლისა და აღდგენისა;

გ) ტყის ეკოსისტემების დაცვის, მოვლისა და აღდგენისა;

დ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;

ე) საგანმანათლებლო საქმიანობისა;

ვ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მიზნით შეზღუდული რაოდენობის საპერბარიუმო მასალის შეგროვებისა;

ზ) დაცვის, ტურისტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის შექმნისა და მოწყობისა, მათ შორის:

ზ.ა) საპიკნიკე ფანჩატურის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიმაღლე – არანაკლებ 2,3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.ბ) კოტეჯის/ტურისტული თავშესაფრების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) და მათთან ერთად სამზარეულოს (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) მოწყობა (სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.გ) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.დ) კაფეტერიის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.ე) საკონფერენციოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.ვ) გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.ზ) საჯინიბოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 6 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.თ) სველი წერტილების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.ი) დამხმარე ნაგებობის (სამზარეულო, დამხმარე ტექნიკური ნაგებობა, შენობა სამედიცინო პუნქტის, დაცვისა და თანამშრომლების განთავსებისათვის) მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

**შენიშვნა:** „ზ.ა.“ – „ზ.ი.“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მ-ს;

თ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით მუდმივი და დროებითი სანერგეების მოწყობისა და ცხოველთა სამყაროს აღდგენის მიზნით ვოლიერების მოწყობისა;

ი) საძოვრებსა და სათიბ ტერიტორიებზე მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საქონლის ძოვებისა და საქონლისათვის თიბვისა;

კ) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით ტრადიციული გამოყენების ზონის ტერიტორიაზე ავტო-,მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებისა;

ლ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოებისა;

მ) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელებისა;

ნ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;

ო) გზებზე ტრანსპორტით გადაადგილებისა;

პ) ვიზიტორთა ყოფნისა და გადაადგილებისა;

ჟ) გზების მოვლისა და ბილიკების მოვლისა და მოწყობისა;

რ) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირადი მოხმარების მიზნით ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობისა, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 89-ე მუხლით განსაზღვრული სოციალური დანიშნულების ჭრის შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობისა (არსებული რესურსის გათვალისწინებით, გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა არაუმეტეს 6 მ<sup>3</sup> საშუალო მერქნისა), მოვებისა (ტყით დაუფარავ ფართობში), თიბვისა, საფუტკრეების მოწყობისა, სოკოსა და ხილ-კენკრის შეგროვებისა, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა.

3. დაშბაშის კანიონის, სამშვილდის კანიონისა და ბირთვისის ბუნების ძეგლების ტერიტორიაზე აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;

ბ) მონიტორინგის სამუშაოების წარმოებისა;

გ) ტურისტულ-საგანმანათლებლო საქმიანობისა;

დ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;

ე) საკადასტრო სამუშაოების განხორციელებისა;

ვ) სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნით ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული გადაადგილებისა;

ზ) დაცვისა და მოვლის ღონისძიებებისა;

თ) ბილიკების მოწყობისა და არსებული ბილიკების მოვლისა;

ი) დაცვისა და ტურისტულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და კეთილმოწყობისა.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის დადგენილება №340 - ვებგვერდი, 14.07.2021 წ.*

## **თავი VI. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები**

### **მუხლი 41. პასუხისმგებლობა მენეჯმენტის გეგმის განხორციელებაზე**

1. სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო (სააგენტოს ცენტრალური აპარატი და ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია) პასუხისმგებელია მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაზე, მათი განხორციელების მონიტორინგსა და მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე.

2. მენეჯმენტის გეგმა ხორციელდება სამწლიანი საოპერაციო და წლიური სამუშაო გეგმის საშუალებით. საოპერაციო გეგმა მოიცავს განსახორციელებელ ქმედებებს საჭირო ბიუჯეტის ჩათვლით.

3. სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცენტრალური აპარატი, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან ერთად, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობას და თანამშრომლობას გარკვეული ღონისძიებების განხორციელებაში, როდესაც ეს აუცილებელი და საჭიროა.

#### **მუხლი 42. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები**

1. მენეჯმენტის გეგმა მოიცავს მართვის რვა პროგრამას. ამ პროგრამების მიზნები და ქმედებები ესადაგება ძირითად პირდაპირ და არაპირდაპირ საფრთხეებს, გამოწვევებსა და მენეჯმენტის შეზღუდვებს, რომლებიც აღნუსხულია სიტუაციურ ანალიზში (თავი IV). ეს პროგრამებია:

ა) პატრულირება და კანონაღსრულება;

ბ) ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების და საფრთხეების მონიტორინგი;

გ) ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება;

დ) ხანძრებით, მავნებლებითა და დაავადებებით, ასევე სხვა ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული რისკების მართვა;

ე) ეკოტურიზმი და ვიზიტორთა მენეჯმენტი;

ვ) გარემოსდაცვითი განათლება;

ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობა;

თ) ალგეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება.

2. მენეჯმენტის გეგმის მომდევნო მუხლები განსაზღვრავენ მენეჯმენტის გეგმის პროგრამების მიზნებს, შესაბამის ინდიკატორებს და შემოწმების საშუალებებს. თითოეული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა ქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს საოპერაციო და ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებში. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეიცვალოს ან შესწორდეს ქმედებები მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პერიოდში, რათა მიღწეულ იქნეს თითოეული მენეჯმენტის პროგრამის მიზნები.

#### **მუხლი 43. პატრულირების და კანონაღსრულების პროგრამა**

პატრულირებისა და კანონაღსრულების პროგრამა შეეხება ალგეთის დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებების (უფრო კონკრეტულად კი ბიომრავალფეროვნების ღირებულებების) საფრთხეებს, რომლებიც სიტუაციური ანალიზის თავშია განსაზღვრული (მუხლი 28, ცხრილი 4) და უკავშირდება ბრაკონიერობას და ბუნებრივი რესურსების უკანონო გამოყენებას, განსაკუთრებით ხე-ტყის უკანონო და არამდგრად ჭრას, ასევე სამოვრების არასწორ გამოყენებას და ტყეში მოვებას. გარდა ამისა, პროგრამა ეხება ალგეთის დაცული ტერიტორიების სხვა საფრთხეებს: ჰაბიტატების რღვევას, განადგურებას და ტერიტორიის დაბინძურებას ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა უკანონო საქმიანობას.

**მიზანი 1: უკანონო ქმედებებით გამოწვეული (ბიომრავალფეროვნების) ძირითადი საფრთხეები შემცირებულია.**

**ინდიკატორი 1: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, დაცვის რეჟიმის დარღვევების აღმოჩენილი რაოდენობა, სასამართლოში გადაცემული შემთხვევების რაოდენობა და საბრალდებო განაჩენის რაოდენობა შემცირებულია 20%-ით 2019 წელთან შედარებით.**

ქმედებები	ინდიკატორები	შემოწმების საშუალებები
1.1. პატრულირების და კანონდღსრულების არსებული სისტემის ანალიზი და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შედგენა, ალგეთის დაცული ტერიტორიების ძირითადი სახეობების, ჰაბიტატების და ეკოსისტემების გავრცელების არელების პრიორიტეტულობით (მაგ.: წიწვოვანი ტყეები, შერეული და ფოთლოვანი ტყეები, სუბალპური ტყე, მდელოები, მდინარეები და ნაკადულები, მურა დათვი, ფოცხვერი, ევროპული შველი, ფასკუნჯი).	2020 წლისთვის ადმინისტრაციას აქვს პატრულირების და კანონდღსრულების სტრატეგია და მოქმედების გეგმა.	სტრატეგიისა და მოქმედების გეგმის დოკუმენტი.
1.2. ალგეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებისა და აკრძალული ქმედებების შესახებ საინფორმაციო ნიშნების და დაფების განთავსება ისეთ ადგილებში, სადაც დარღვევები უფრო ხშირია.	საინფორმაციო ნიშნების და დაფების არსებობა დაცული ტერიტორიების საზღვრებისა და აკრძალული ქმედებების შესახებ.	ნიშნების რუკა და ფოტო დოკუმენტაცია.
1.3. დაცული ტერიტორიების სისტემატური პატრულირება პატრულირებისა და კანონდღსრულების სტრატეგიის მიხედვით (იხ. ზემოთ 1.1.).	მენეჯმენტის გეგმის დასასრულს საპატრულო მარშრუტების რაოდენობა და ინტენსივობა 2019 წელთან შედარებით 20%-ით გაიზარდა.	SMART ჩანაწერები ან პატრულირების ოქმი; ალგეთის დაცული ტერიტორიების სამართალდარღვევების სტატისტიკა.
1.4. კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესება სააგენტოებთან, რომლებიც დაკავშირებულია ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე კანონდღსრულების აქტივობების განხორციელებასთან. მაგ.: ადგილობრივი პოლიცია, ეროვნული სატყეო სააგენტო, გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტი და სხვა.	საპატრულო და კანონდღსრულების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული ერთობლივი ქმედებების რაოდენობა.	სამოქმედო გეგმის დოკუმენტი.
1.5. დაცვის განყოფილების შესაძლებლობებისა და მოტივაციის გაზრდა პროფესიული ტრენინგების მეშვეობით, რომელიც განისაზღვრება დაცული ტერიტორიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სტრატეგიით.	დაცვის განყოფილების თანამშრომლების მინიმუმ 90%-ს მაინც აქვთ გავლილი პროფესიული ტრენინგები ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის მიხედვით.	სასწავლო მოდულები და მონაწილეთა სიები.

**მუხლი 44. ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების და საფრთხეების მონიტორინგის პროგრამა**

ამ პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის არსებობა ალგეთის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების ღირებულებების კონსერვაციის სტატუსის ცვლილების, საფრთხეების ტენდენციებისა და მენეჯმენტის ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ. ეს ინფორმაცია კრიტიკულია ალგეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის ადაპტაციისთვის (როგორც მოკლევადიანი, სამწლიანი ოპერაციული გეგმებისა და წლიური სამოქმედო გეგმების დონეზე, ასევე გრძელვადიანი გეგმის ექვსწლიანი ციკლის დასრულების შემდეგ).

საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით (2014-2020), მიმდინარეობს საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის განვითარება. ალგეთის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მიმდინარე პროგრამა გახდება ამ სისტემის ნაწილი და მისი სრულად ჩამოყალიბების შემდეგ შესაძლოა საჭირო გახდეს გადამოწმება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სრულად შესაბამისობა ეროვნულ სისტემასთან.

ქმედებები	ინდიკატორები	შემოწმების საშუალებები
<p><b>მიზანი 2:</b> ბიომრავალფეროვნების, მათ შორის ბიომრავალფეროვნების ძირითადი ფასეულობების და საფრთხეებისა სტატუსის ტენდენციებზე კრიტიკული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ალგეთის დაცული ტერიტორიების ადაპტური მენეჯმენტის სახელმძღვანელოდ.</p> <p><b>ინდიკატორი 2:</b> ბიომრავალფეროვნების, მათ შორის ბიომრავალფეროვნების ძირითადი ფასეულობების და საფრთხეების სტატუსის ტენდენციებზე კრიტიკული ინფორმაცია (როგორც ეს განისაზღვრა მენეჯმენტის გეგმის მუხლ 27-სა და მუხლ 28-ში) ხელმისაწვდომია მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს.</p>	<p>სულ მცირე ერთი ინვენტარიზაცია ალგეთის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების (ფლორა) შესახებ გაკეთებულია</p>	<p>ბიომრავალფეროვნების ინვენტარიზაციის დოკუმენტი</p>
<p>2.2. ბიომრავალფეროვნების ძირითადი ფასეულობების და საფრთხეების სტატუსის მონიტორინგის გეგმის შემუშავება და განხორციელება.</p>	<p>მონიტორინგის გეგმა არსებობს</p>	<p>მონიტორინგის გეგმის დოკუმენტი</p>
<p>2.3. მონაცემთა ბაზის შედგენა ალგეთის დაცული ტერიტორიების იდენტიფიცირებული ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების მდგომარეობის შესახებ (წიწვოვანი ტყე, შერეული და ფოთლოვანი ტყეები, სუბალპური ტყეები, მდელოები, მდინარეები და ნაკადულები, მურა დათვი, ფოცხვერი, ევროპული შველი, ფასკუნჯი).</p>	<p>მონაცემთა ბაზა ალგეთის დაცული ტერიტორიების იდენტიფიცირებული ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების მდგომარეობის შესახებ ხელმისაწვდომია.</p>	<p>ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზა.</p>
<p>2.4. ალგეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული ზურმუხტის ქსელის მნიშვნელოვანი ჰაბიტატების მონიტორინგი და შედეგების პერმანენტულად მიწოდება სააგენტოსთვის.</p>	<p>ზურმუხტის ჰაბიტატების მდგომარეობის შესახებ ადმინისტრაციაში არსებულ მონაცემთა ბაზაში შეტანილია შესაბამისი ინფორმაცია.</p>	<p>სამინისტროს ერთიანი მონაცემთა ბაზის არსებობა და ხელმისაწვდომობა.</p>
<p>2.5. მონიტორინგის მონაცემების (როგორც მოცემულია 2.1-2.3-ში) ანალიზი მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდის მეორე წლის შემდეგ და რეკომენდაციების ფორმულირება პრიორიტეტული საქმიანობისათვის, რომელიც განხორციელდება მეორე სამწლიანი ოპერაციული გეგმის დროს.</p>	<p>ანალიტიკური ანგარიში და რეკომენდაციების დოკუმენტი ადგილზეა მენეჯმენტის გეგმის ძალაში შესვლიდან 2.5 წლის შემდეგ და მეორე სამწლიანი ოპერაციული გეგმის ფორმულირების დაწყებამდე.</p>	<p>ანალიტიკური ანგარიშის დოკუმენტი.</p>
<p>2.6. მონიტორინგის მონაცემების (როგორც მოცემულია 2.1-2.3-ში) ანალიზი მენეჯმენტის პერიოდის მეხუთე წლის შემდეგ და რეკომენდაციების ფორმულირება გადახედვისა</p>	<p>ანალიტიკური ანგარიში და რეკომენდაციები ადგილზეა მენეჯმენტის გეგმის ძალაში შესვლიდან 5.5 წლის შემდეგ.</p>	<p>ანალიტიკური ანგარიშის დოკუმენტი.</p>



და განახლების შესახებ მენეჯმენტის გეგმის 9-წლიანი არსებობის შემდეგ.	ალგეთის დაცული ტერიტორიების მეორე მენეჯმენტის გეგმის ფორმულირების დაწყებამდე.	
---------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------	--

**მიზანი 3. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების მონიტორინგის შესაძლებლობები გაუმჯობესებულია.**  
**ინდიკატორი 3: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-3 წელს, თვითშეფასების მიხედვით, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მონიტორინგის შესაძლებლობები და უნარები საკმარისია ამ სფეროში საკუთარი მიზნების მისაღწევად.**

ქმედებები	ინდიკატორები	შემოწმების საშუალებები
3.1. რეგულარული ტრენინგების ჩატარება რეინჯერთათვის და სხვა შესაბამისი პერსონალისთვის, ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების და საფრთხეების სტატუსის მონიტორინგისა და საჭირო აღჭურვილობის გამოყენებით მონაცემთა შეგროვების შესახებ.	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; რეინჯერების და სხვა პერსონალის 90%-ს გავლილი აქვთ ტრენინგები.	სასწავლო მოდულები; მონაწილეთა სიები.
3.2. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის აქტივობების განხორციელების მიზნით შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალის უზრუნველყოფა საჭირო აღჭურვილობებითა და სახარჯი/საველე მასალებით.	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ქმედებების განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობისა და მასალებით უზრუნველყოფის დონე.	ადმინისტრაციის ქონების საინვენტარიზაციო აღწერილობის მონაცემები.

**მიზანი 4. სამეცნიერო კვლევა ინფორმაციის დეფიციტის შესავსებად, სამეცნიერო ინფორმაციის განახლება და ალგეთის დაცული ტერიტორიების ადაპტირებული მენეჯმენტის ხელშეწყობა.**  
**ინდიკატორი 4: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, ინფორმაციის დეფიციტის მინიმუმ 50% მაინც შევსებულია, იმ ნუსხის მიხედვით რომელიც შედგება 2020 წელს.**

ქმედებები	ინდიკატორები	შემოწმების საშუალებები
4.1. კონსერვაციის თვალსაზრისით მაღალპრიორიტეტული კვლევითი პროექტების სიის შექმნა	მაღალპრიორიტეტული კვლევითი პროექტების ჩამონათვალი, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმებით.	მაღალპრიორიტეტული კვლევითი პროექტების ჩამონათვალის დოკუმენტი.
4.2. თანამშრომლობის თაობაზე მემორანდუმის გაფორმება ალგეთის დაცული ტერიტორიების კვლევაში დაინტერესებულ შესაბამის გარე პარტნიორებთან (სამეცნიერო ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.) და მნიშვნელოვანი ორგანიზაციების (4.1.) ჯგუფების ინვენტარიზაციაში ხელშეწყობა (მაგ.: ძუძუმწოვრები, ფრინველები, უხერხემლოები).	ხელმოწერილი მემორანდუმი; მინიმუმ ექვსი შემდგარი თანამშრომლობა შესაბამის გარე პარტნიორებთან მე-5 წლისთვის მნიშვნელოვანი ორგანიზაციებისა და ჯგუფების ინვენტარიზაციისა და გავრცელების ანალიზის ხელშეწყობად.	თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმების დოკუმენტები.

4.3. ალგეთის დაცული ტერიტორიებზე და მის მიმდებარედ ადგილობრივი მოსახლეობასა და მტაცებელ ცხოველებს შორის კონფლიქტის გარემოებრივი და სოციო-ეკონომიკური ასპექტების შესწავლა.	შეთანხმება შესაბამის კვლევით დაწესებულებასთან (ებთან), რათა მომზადდეს ანგარიში ადგილობრივ მოსახლეობასა და მტაცებელ ცხოველებს შორის კონფლიქტის შესახებ.	კვლევის ანგარიშის დოკუმენტი.
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------

**მუხლი 45. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პროგრამა**

ალგეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი მიზნად ისახავს ბიომრავალფეროვნების ყველა ძირითადი ღირებულების კონსერვაციას და ამავდროულად უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ბუნებრივი რესურსების მდგრად, სამართლიან და თანაბარ გამოყენებას ყველა ზონაში, სადაც ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პროგრამა მოიცავს შემდეგ ძირითად ტენდენციებსა და საკითხებს:

- ა) დაცული ტერიტორიებისა და ბუნების ძეგლების მიმდებარე სოფლების მოსახლეობის უწყვეტი მოთხოვნა ხე-ტყეზე;
- ბ) ენერჯის ალტერნატიული წყაროების დანერგვის და გაფართოების შესაძლებლობების ხელშეწყობა;
- გ) ალგეთის დაცული ტერიტორიების ახლოს მცხოვრები მოსახლეობის მიერ სხვა ბუნებრივი რესურსებისა და ეკოსისტემის სერვისების მდგრადი გამოყენება;

**მიზანი 5. ალგეთის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის ბუნებრივი რესურსები მდგრადად გამოიყენება მის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის მიერ.**  
**ინდიკატორი 5: შესაგროვებელი მაღალი პრიორიტეტულობის ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობის საშუალო ვადიანი (5 წელი) ტენდენცია სტაბილურია მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-5 წელს.**

ქმედებები	ინდიკატორები	შემოწმების საშუალებები
5.1. ტყის ინვენტარიზაციისა და ტყის მართვის დაგეგმვის განხორციელება და ხელშეწყობა ალგეთის ეროვნული პარკის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ჭრის მდგრადი კვოტების დადგენა.	მომზადებული ტყის ინვენტარიზაციისა და მენეჯმენტის გეგმა.	ტყის მართვის გეგმის დოკუმენტი.
5.2. მდელოების, მათ შორის საძოვრებისა და სათიბების ინვენტარიზაციის და მენეჯმენტის დაგეგმვის პროცესის ინიცირება და ხელშეწყობა ეროვნული პარკში.	იმ კომუნიკაციის არსებობა, რომელიც მიზნად ისახავს სათიბისა და საძოვრების ინვენტარიზაციას და მენეჯმენტის გეგმის შემუშავების ინიცირებას.	წერილების/ ელექტრონული კორესპონდენციის ასლები.
5.3. წყლის რესურსების მენეჯმენტისა და მონიტორინგის გეგმის შემუშავების ინიცირება და ხელშეწყობა (დაბინძურების შემცირება მოუწესრიგებელი კანალიზაციიდან) ეროვნული პარკის და ბუნების ძეგლების წყალშემკრებისთვის.	კომუნიკაციები, რომლებიც მიზნად ისახავს წყლის რესურსების მენეჯმენტისა და მონიტორინგის გეგმის შექმნას.	წერილების/ ელექტრონული კორესპონდენციის ასლები.



5.4. თანამშრომლობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, მუნიციპალურ ხელისუფლებასა და რეგიონულ მრჩეველთა საბჭოსთან ეროვნული პარკის და ბუნების ძეგლების ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებაზე.	შემთხვევების რაოდენობა, როდესაც ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები მონაწილეობენ ბუნებრივი რესურსების მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.	ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებების ოქმი ბუნებრივი რესურსების მართვის შესახებ, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**მუხლი 46. ხანძრებით, მავნებლებითა და დაავადებებით, ასევე სხვა ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული რისკების მართვის პროგრამა**

ალგეთის დაცული ტერიტორიებზე ხანძრები გამოწვეულია ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორებით, განსაკუთრებით ვიზიტორებისა და მწყემსების უყურადღებობით. ამა სთანავე, მავნებლები და დაავადებები ასევე წარმოადგენენ პოტენციურ საფრთხეებს ალგეთის დაცული ტერიტორიებისთვის.

<b>მიზანი 6: ხანძრებით, სარეველებითა და მავნებლებით გამოწვეული რისკები კონტროლდება ან მცირდება. ინდიკატორი 6: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წლის დასასრულს, 2019 წელთან შედარებით, 50-60%-ით შემცირდა ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამოწვეული ზარალის რაოდენობა.</b>		
ქმედებები	ინდიკატორები	შემოწმების საშუალებები
6.1. ტყეებსა და მდელოებზე ხანძრების, სარეველების და მავნებლების გავრცელების მართვის გეგმების შედგენა და განხორციელება.	ხანძრების, სარეველების და მავნებლების გავრცელების მართვის გეგმები ხელმისაწვდომია.	მართვის გეგმების დოკუმენტები.
6.2. ადგილობრივი რესურსების მომხმარებლების ტრენინგი ხანძარსაწინააღმდეგო უნარ-ჩვევებში და ხანძრის შემთხვევაში მათი მხარდაჭერის მოპოვება.	ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა, რომელთაც შეიძინეს ხანძრებთან ბრძოლის გამოცდილება; ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის დონე ხანძრის პრევენციასა და ბრძოლაში.	სასწავლო ოქმები; ხანძრის პრევენციისა და ლიკვიდაციის ღონისძიებებზე დასწრების ოქმები.
6.3. მოხალისე მოსახლეობის წვრთნა და მობილიზაცია საგანგებო სიტუაციების დროს სამაშველო ოპერაციებში რეაგირებისთვის.	სამაშველო ოპერაციებისთვის სათანადოდ მომზადებული ადგილობრივი ჯგუფების რაოდენობა.	სასწავლო ოქმები. რეგისტრაციის ფორმები, ანგარიში.
6.4. ტყის მავნებლების რისკებზე რეგულარული დაკვირვება და მავნებლების კონტროლის აქტივობების ინიცირება.	მავნებლებზე დაკვირვებისა და საკონტროლო საქმიანობის ანგარიშები (საჭიროების შემთხვევაში).	შესაბამისი ანგარიშის დოკუმენტები.

**მუხლი 47. ეკოტურიზმისა და ვიზიტორთა მენეჯმენტის პროგრამა**

თბილისთან ახლო მდებარეობისა და მაღალი ესთეტიკური ღირებულებების გამო, ალგეთის დაცულ ტერიტორიებს დიდი პოტენციალი აქვთ შესთავაზონ ქართველ და უცხოელ სტუმრებს დასვენება და ტურისტული გამოცდილება, რაც ასევე ხელს უწყობს შემოსავლების ზრდას ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ეკოტურიზმის და ვიზიტორთა მენეჯმენტის პროგრამა,

რომელიც მიზნად ისახავს ამ პოტენციალის მიზნობრივ გამოყენებას, მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- ა) ეროვნულ პარკსა და ბუნების ძეგლებზე ეკოტურიზმის და შესაბამისი საწყისი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა ღონისძიებებს, რომლებიც ეფუძნება ალგეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიას და საინვესტიციო გეგმას;
- ბ) ტურისტული პროდუქტების და სერვისების შექმნას და განვითარებას, მიმდებარე მოსახლეობის ჩართულობის გაზრდასა და მათი სამეწარმეო კულტურის ამაღლებას სხვადასხვა პარტნიორების და დამატებითი ფინანსური წყაროების მოზიდვის საშუალებით;
- გ) პარკის ტურისტული რესურსების და სერვისების მარკეტინგს და პოპულარიზაციის ღონისძიებებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და რეგიონის შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით;
- დ) ეროვნულ პარკში და ბუნების ძეგლებზე ვიზიტორების რაოდენობის ზრდას (ისე, რომ არ გადააჭარბოს ვიზიტორების ტევადობის შესაძლებლობას), რაც გააუმჯობესებს დაცული ტერიტორიების მხარდაჭერას და მიმდებარე მოსახლეობის პოტენციალს, მიიღონ შემოსავალი ვიზიტორებისთვის პროდუქტების და სერვისების შეთავაზების გზით.

**მიზანი 7. გაუმჯობესებულია ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტის შესაძლებლობები და ეკოტურიზმის საწყისი სერვისები.**  
**ინდიკატორი 7: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების 9 წლის შემდეგ, ეკოტურიზმის პროდუქტები და შესაძლებლობები (ბილიკები, ა.შ.) ალგეთის ეროვნულ პარკში და ბუნების ძეგლებზე გაიზარდა სულ მცირე 25%-ით 2019 წელთან შედარებით, ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.**

ქმედებები	ინდიკატორები	შემოწმების საშუალებები
7.1. ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ალგეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის შესაბამისად.	ალგეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორების რაოდენობა. ტურიზმთან დაკავშირებული შემოსავლის წვლილი ალგეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საერთო შემოსავალში.	სტატისტიკური მონაცემები.
7.2. ადგილობრივი გიდების სწავლების მხარდაჭერა ალგეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის მეშვეობით.	დატრენინგებული ადგილობრივი გიდების რაოდენობა.	დატრენინგებული გიდების სიები.
7.3. ალგეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარება სხვა დაცულ ტერიტორიებთან და პირიქით, ისევე, როგორც ტურისტული მენეჯმენტის სფეროში ადგილობრივ სერვის მომწოდებლებთან, ალგეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის მხარდაჭერით.	ტრენინგისა და გაცნობითი ტურების რაოდენობა და მათში მონაწილეთა რაოდენობა.	ტრენინგების და გაცნობითი ტურების ანგარიშები, ფოტომასალა.

7.4. ტურისტული ბაზრებისა და ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტების მონიტორინგის მონაცემებზე დაფუძნებით ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გადახედვა.	ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა გადაიხედება მენეჯმენტის გეგმის მეხუთე წელს.	მომზადებული ცვლილებების დოკუმენტი.
7.5. ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული პროექტების შემუშავება და განხორციელება ადგილობრივი ტურისტული მომსახურების მიმწოდებლებისა და ბიზნესის წარმომადგენლებთან, ასევე ალგეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციასთან ერთად.	პირველი მენეჯმენტის გეგმის მე-5 წელს ინიცირებულია მინიმუმ 5 პროექტი.	საპროექტო განაცხადები.
7.6. ადგილობრივი ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიური ძეგლების ინტეგრაციის ხელშეწყობა ტურისტულ პროდუქტში.	სულ ცოტა სამი შესაბამისი ტურისტული პროდუქტის არსებობა.	პროდუქტების აღწერილობა.
7.7. ალგეთის ეროვული პარკის ადმინისტრაციის შესაბამისი თანამშრომლების ტრენინგი (ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტი, ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი და რეინჯერები) ტურიზმში, რეკრეაციასა და ვიზიტორთა მენეჯმენტში.	შესაბამისი ტრენინგების და მონაწილე ალგეთის ეროვული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა (მინ. 90% მაინც).	სასწავლო მოდულები.

**მიზანი 8. ძირითადი ინფრასტრუქტურა და ეკოტურიზმის სერვისები ხელმისაწვდომია ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე.**  
**ინდიკატორი 8: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე შექმნილია ძირითადი ინფრასტრუქტურა, რაც ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიაშია იდენტიფიცირებული.**

ქმედებები	ინდიკატორები	შემოწმების საშუალებები
8.1. არსებული ინფრასტრუქტურის განახლება/შეკეთება ისე, რომ უზრუნველყოს უსაფრთხოება და საერთაშორისო ეკოლოგიური სტანდარტების დაცვა.	ინფრასტრუქტურისა და გზების არსებობა/რაოდენობა, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო ეკოლოგიური სტანდარტებისა და უსაფრთხოების ნორმებს.	რუკები და ინფრასტრუქტურის აღწერილობის დოკუმენტები.
8.2. მანგლისში, ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრთან „კანოპს ბილიკის/ხის კენწეროების ბილიკის“ მოწყობა.	საერთაშორისო ეკოლოგიური სტანდარტის და უსაფრთხოების ნორმების შესაბამისი ხის კენწეროების ბილიკის არსებობა.	შესაბამისი საპროექტო აღწერილობები.
8.3. დაშბაშის კანიონის შესასვლელიდან მთავარ ჩანჩქერამდე და კანიონის თავზე 3,5 კმ სიგრძის ასასვლელი ბილიკის მოწყობა	საერთაშორისო ეკოლოგიური სტანდარტის და უსაფრთხოების ნორმების შესაბამისი ბილიკის არსებობა დაშბაშის კანიონზე.	შესაბამისი საპროექტო აღწერილობები.
8.4. ბირთვისის ბუნების ძეგლზე „ვია ფერატას“ მოწყობა.	საერთაშორისო ეკოლოგიური სტანდარტის და უსაფრთხოების ნორმების შესაბამისი „ვია ფერატას“ არსებობა ბირთვისის ბუნების ძეგლზე.	შესაბამისი საპროექტო აღწერილობები.

8.5. სამშვილდის ბუნების ძეგლზე ე.წ. სამშვილდის ნახევარკუნძულის კიდეზე სათვალთვალო კოშკის მოწყობა.	საერთაშორისო ეკოლოგიური სტანდარტის და უსაფრთხოების ნორმების შესაბამისი სათვალთვალო კოშკის არსებობა.	შესაბამისი საპროექტო აღწერილობები.
8.6. ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება ალგეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორების მიერ ნარჩენების შემცირების, შეგროვების, შეწუხებისა და ისტორიული ძეგლების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით.	ალგეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორების მიერ ნარჩენების შეგროვების, შეწუხებისა და ისტორიული ძეგლების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა.	წერილობითი ანგარიშები და ფოტომასალა.

**მიზანი 9. ალგეთის დაცული ტერიტორიები ფართოდაა ცნობილი ქართველი და უცხოელი სტუმრებისთვის და გატანილია ტურისტულ გამოფენა/ბაზრობებზე.**  
**ინდიკატორი 9: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, ალგეთის დაცული ტერიტორიების მარკეტინგისა და პოპულარიზაციის ღონისძიებების რაოდენობა გაზრდილია სულ მცირე 50%-ით 2019 წელთან შედარებით.**

ქმედებები	ინდიკატორები	შემოწმების საშუალებები
9.1. ქართველებს და უცხოელებს შორის ალგეთის დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია და მისი, როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე გატანა.	მარკეტინგის პროგრამებისა და საქმიანობის რაოდენობა და შედარება წინა წელთან.	ადმინისტრაციის ანგარიშები.
9.2. ალგეთის დაცული ტერიტორიების დეტალური რუკების, გზამკვლელებისა და საინფორმაციო მასალების მომზადება და გამოქვეყნება ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით.	მომზადებული რუკების, საინფორმაციო მასალებისა და გზამკვლელების რაოდენობა.	რუკები და გზამკვლელები.

**მუხლი 48. გარემოსდაცვითი განათლების პროგრამა**

გარემოსდაცვითი განათლების პროგრამა მიზნად ისახავს პარკის გრძელვადიანი მიზნის აღსრულებას, რათა ხელი შეუწყოს ადგილობრივი მოსახლეობის, ვიზიტორთა და საზოგადოების განათლებას.

**მიზანი 10. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას აქვს საკმარისი შესაძლებლობა გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელებისთვის.**  
**ინდიკატორი 10: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, შესაძლებლობების თვითშეფასების სტანდარტული მეთოდოლოგიის მიხედვით, ადმინისტრაცია აფასებს საკუთარ გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლების შესაძლებლობებს როგორც საკმარისს.**

ქმედებები	ინდიკატორები	შემოწმების საშუალებები
10.1. გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის პოტენციური ადგილების განსაზღვრა და ამ ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისთვის პარტნიორების მოძიება.	შესაბამისი რუკებისა და პოტენციური პარტნიორების სიების არსებობა.	კომუნიკაციის დამადასტურებელი ოქმები.



10.2. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების (ბუნებრივი რესურსების სპეციალისტის და რეინჯერების) ტრენინგი გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით.	ტრენინგის მონაწილე ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა (მინ. 90% მაინც).	სასწავლო მოდული.
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------	------------------

**მიზანი 11. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია შეიმუშავებს და ახორციელებს გარემოსდაცვითი განათლების პროგრამებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.**  
**ინდიკატორი 11: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების წლიური რაოდენობა და ამ პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობა გასამმაგდა 2019 წელთან შედარებით.**

ქმედებები	ინდიკატორები	შემოწმების საშუალებები
11.1. საკვალიფიკაციო პროგრამების შემუშავება და განხორციელება (მათ შორის ინფორმაციის გაცვლა, პრაქტიკული ტრენინგი) საოჯახო სასტუმროების და ტურისტული მომსახურების სხვა მიმწოდებლებისათვის, საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ხელშესაწყობად.	საკვალიფიკაციო პროგრამის დოკუმენტის არსებობა.	საკვალიფიკაციო პროგრამის დოკუმენტი; მონაწილეთა სია, სარეგისტრაციო ფორმები.
11.2. საზაფხულო პროგრამის ჩატარება, პრეზენტაციები ადგილობრივი მოსახლეობისთვის და სტუმრებისთვის თემებზე, რომლებიც დაკავშირებულია ალგეთის დაცული ტერიტორიების კულტურულ მემკვიდრეობასა და ბუნებრივ ფასეულობებთან.	ალგეთის დაცული ტერიტორიებისთვის წარმოდგენილი საზაფხულო პროგრამის დოკუმენტი, პრეზენტაციების და მონაწილეთა რაოდენობა ყოველ ზაფხულს.	სტატისტიკური მონაცემები.
11.3. ეკოკლუბების ჩამოყალიბება და მხარდაჭერა მიმდებარე სოფლების სკოლებში მეგობართა ასოციაციასთან და სკოლებთან თანამშრომლობით.	შექმნილი ეკოკლუბების რაოდენობა, მონაწილეთა და აქტივობების რაოდენობა.	განხორციელებული ღონისძიებების ანგარიშები და ფოტომასალა.
11.4. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.	სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის.	სტატისტიკა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა შესახებ.
11.5. ადგილობრივი მოხალისეების ჯგუფების ორგანიზება, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებისა და ახალგაზრდების ("სათემო რეინჯერები") ჩართულობას ალგეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მენეჯმენტის აქტივობებში.	სათემო რეინჯერთა პროგრამების მონაწილეთა რაოდენობა, ახალგაზრდებისა და მოზარდების ჩართულობით.	განხორციელებული ღონისძიებების ანგარიშები და ფოტომასალა.

**მუხლი 49. საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამა**

საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამა ეხება და მოიცავს ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის კომუნიკაციის, განათლებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების აქტივობებს, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობას და მათი საკუთრების განცდას ალგეთის დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში.

**მიზანი 12. ალგეთის ეროვნული პარკი და ბუნების ძეგლები წარმოდგენილია ფართო საზოგადოებისთვის. ინდიკატორი 12: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, ალგეთის დაცული ტერიტორიების ცნობადობისთვის ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიების და აქტივობის წლიური რაოდენობა გასამმაგდა 2019 წელთან შედარებით.**

ქმედებები	ინდიკატორები	შემოწმების საშუალებები
12.1. სტატიებისა და ინფორმაციის განთავსება ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო მედიაში ალგეთის დაცული ტერიტორიებისა და მისი ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების და მათი მნიშვნელობის, ასევე მათი კონსერვაციის საჭიროების ხელშესაწყობად.	ალგეთის დაცული ტერიტორიების ღირებულებების შესახებ ყოველწლიურად გამოქვეყნებულია მინიმუმ 2 სტატია.	გამოქვეყნებული სტატიები.
12.2. პუბლიკაციების, გაზეთების, ბროშურების, საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების მასალებისა და რუკების გამოქვეყნება ალგეთის დაცული ტერიტორიებისა და ბუნების ძეგლების შესახებ.	საინფორმაციო მასალებისა და თემატური მრავალფეროვნების რაოდენობა.	პუბლიკაციები, ბროშურები, რუკები.
12.3. ალგეთის დაცული ტერიტორიების „კეთილი ნების ელჩის“ გამოვლენა და მასთან თანამშრომლობა ალგეთის დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციისთვის	„კეთილი ნების ელჩის“ არსებობა და განხორციელებული აქტივობების ნუსხა	თანამშრომლობის მემორანდუმი „კეთილი ნების ელჩთან“ და განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები.
12.4. ბილბორდების მოწყობა ცენტრალურ და შიდა გზებზე, რომლებზეც იქნება ალგეთის დაცული ტერიტორიების ფოტოები და სლოგანები.	ქვეყნის ცენტრალური გზის მინიმუმ 5 და შიდა გზების მინიმუმ 3 ადგილას განთავსებულია ბილბორდები.	ფოტოსურათები.
12.5. ყოველწლიურად ალგეთის დაცული ტერიტორიების თემატიკით კალენდრების და სამახსოვრო საჩუქრების დამზადება და გავრცელება ადგილობრივ მოსახლეობაში და ვიზიტორებში ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის დახმარებით.	დამზადებული კალენდრების და სამახსოვრო საჩუქრების რაოდენობა.	დამზადებული კალენდრების და სამახსოვრო საჩუქრების მაკეტები.
12.6. რეგიონში გამართულ სხვადასხვა სახალხო ღონისძიებებში და დღესასწაულებში მონაწილეობა.	წლის განმავლობაში მონაწილეობის რაოდენობა.	მონაწილეობის ამსახველი მასალები.
12.7. ალგეთის დაცული ტერიტორიების ფოტოარქივის შექმნა და ამ მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება მეგობართა ასოციაციასთან თანამშრომლობით.	ფოტოარქივში დაცული მასალების რაოდენობის დინამიკა.	ფოტოარქივი.

**მიზანი 13. გაუმჯობესდა კომუნიკაცია და ურთიერთობა ადგილობრივ საზოგადოებასთან და გაიზარდა მათი ჩართულობა ალგეთის დაცული ტერიტორიების მართვაში.**

**ინდიკატორი 13: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, მოსახლეობის მიერ დაცული ტერიტორიების აღქმის და გათვითცნობიერების კვლევის მიხედვით, ადგილობრივი საზოგადოების დამოკიდებულება დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში გაუმჯობესებულია 2019 წელთან შედარებით.**

ქმედებები	ინდიკატორები	შემოწმების საშუალებები
13.1. ადგილობრივი საზოგადოების ინფორმირება დაგეგმილი პროექტების შესახებ და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და პროექტის განხორციელებაში, ალგეთის დაცული ტერიტორიების რეგიონული მრჩეველთა საბჭოს მეშვეობით.	შეხვედრებისა და მონაწილეების რაოდენობა.	შეხვედრების შესახებ ანგარიშები და მონაწილეთა სიები.
13.2. წლიური სოციო-ეკონომიკური მონიტორინგის გაგრძელება.	სოციო-ეკონომიკური მონიტორინგის ანგარიშების არსებობა ყოველწლიურად.	სოციო-ეკონომიკური მონიტორინგის ანგარიშის დოკუმენტი.
13.3. სოფლებში საინფორმაციო დაფების მოწყობა, სადაც განთავსდება ინფორმაცია დაცული ტერიტორიების მიმდინარე სიახლეების შესახებ, როგორც ეს გაწერილია ადმინისტრაციის თემთან კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტში.	სამ ადმინისტრაციულ ერთეულში არსებობს საინფორმაციო დაფა.	ანგარიშები საინფორმაციო დაფების გამოყენების შესახებ.
13.4. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ კვარტლური საინფორმაციო ფურცლების გამოცემა და გავრცელება ადგილობრივ მოსახლეობაში ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციასთან თანამშრომლობით.	საინფორმაციო ფურცლების გამოცემის ჯერადობა წლის განმავლობაში და რაოდენობა.	საინფორმაციო ფურცლების მაკეტები.
13.5. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ წლიური ანგარიშების მოკლე ვერსიების მომზადება და გავრცელება ადგილობრივ მოსახლეობაში.	გამოცემული და ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული წლიური ანგარიშები.	წლიური ანგარიშების მოკლე ვერსიები.
13.6. მრჩეველთა რეგიონული საბჭოს და მეგობართა ასოციაციის გაძლიერების ხელშეწყობა.	მრჩეველთა რეგიონული საბჭოს და მეგობართა ასოციაციის გაძლიერებისთვის განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა.	შედეგების ამსახველი ოქმები.
13.7. ადმინისტრაციის თანამშრომლების გეგმური შეხვედრები (მინიმუმ ორ თვეში ერთხელ) ადგილობრივ მოსახლეობასთან.	გამართული შეხვედრების და მონაწილეთა რაოდენობა.	შეხვედრების ამსახველი ანგარიშები.
13.8 ადმინისტრაციის მენეჯმენტის პერიოდული შეხვედრები (წელიწადში 2 მაინც ან საჭიროებიდან გამომდინარე) თეთრიწყაროს და წალკის მუნიციპალიტეტების მერების და რეგიონის ხელისუფლების წარმომადგენლებთან.	გამართული შეხვედრების რაოდენობა.	შეხვედრების ამსახველი ანგარიშები.
13.9. ალგეთის დაცული ტერიტორიების მიმდებარე თემების შესახებ განახლებადი მონაცემთა ბაზების შექმნა.	მონაცემთა ბაზის არსებობა.	მონაცემთა ბაზა.
13.10. ალგეთის დაცული ტერიტორიების შესახებ სათემო ღონისძიებების მოწყობა ზაფხულის განმავლობაში დაბა მანგლისში.	ღონისძიებების რაოდენობა.	ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალა.

**მუხლი 50. ალგეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა**

პროგრამის მიზანია ინსტიტუციური საფუძვლების შექმნა მენეჯმენტის გეგმის სხვა პროგრამების ეფექტური და წარმატებული განხორციელებისთვის.

<p><b>მიზანი 14. საკმარისი და მდგრადი დაფინანსება უზრუნველყოფილია მენეჯმენტის გეგმის განხორციელებისათვის.</b></p> <p><b>ინდიკატორი 14: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია აფასებს საკუთარ ფინანსებს, როგორც საკმარისს და მდგრადს.</b></p>		
<b>ქმედებები</b>	<b>ინდიკატორები</b>	<b>შემოწმების საშუალებები</b>
<p>14.1. მენეჯმენტის გეგმის განხორციელების საჭიროებების შეფასება; გარე დაფინანსების მოთხოვნების პრიორიტიზაცია.</p>	<p>საჭიროებებისა და დაფინანსების ნაკლოვანებების შეფასება ყოველწლიურად, გარე დაფინანსების პრიორიტეტების განსაზღვრა და ყოველწლიურად დოკუმენტირება.</p>	<p>შეფასების ანგარიშები.</p>
<p>14.2. მიზანშეწონილობის შეფასება და მის შედეგებზე დაყრდნობით – ბუნების ძეგლების შემოსავლის გაზრდის მიზნით, შესვლის საფასურის დაწესება</p>	<p>შესვლის საფასურის მიზანშეწონილობის შეფასება მენეჯმენტის გეგმის მესამე წელს და მისი დაწესება (თუ დადასტურდება მიზანშეწონილობა) მეოთხე წელს. მიღებული შემოსავლის ინვესტირება ალგეთის დაცულ ტერიტორიებზე მენეჯმენტის გეგმის განხორციელებისთვის</p>	<p>შეხვედრების ოქმები და ნორმატიული დოკუმენტი შესვლის გადასახადის დაწესების შესახებ</p>



<p><b>მიზანი 15. ალგეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ძირითადი საოპერაციო ინფრასტრუქტურა და ტექნიკური ბაზა მწყობრშია და მუდმივად უმჯობესდება.</b></p> <p><b>ინდიკატორი 15: იდენტიფიცირებული მადალპრიორიტეტული ინფრასტრუქტურის 90% ხელმისაწვდომია ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისთვის</b></p>		
ქმედებები	ინდიკატორები	შემოწმების საშუალებები
15.1. საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის, მანქანებისა და ინფრასტრუქტურის დაგეგმვა და დაფინანსება საოპერაციო გეგმის ფარგლებში	საოპერაციო გეგმა, მათ შორის საინვესტიციო გეგმა ხელმისაწვდომია	საინვესტიციო გეგმის დოკუმენტი.
15.2 ადმინისტრაციის ტექნიკური აღჭურვილობის, მანქანებისა და ინფრასტრუქტურის რეგულარული შეკეთება და განახლება	საშუალოდ წლიურად 90% ტექნიკური აღჭურვილობის, მანქანებისა და ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება.	ტექნიკური აღჭურვილობის, მანქანებისა და ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების შესახებ ჩანაწერები
15.3. ადმინისტრაციის ყველა თანამშრომლის უზრუნველყოფა უნიფორმებით	მენეჯმენტის გეგმის ყოველ მეორე წელს უზრუნველყოფილია უნიფორმების სათანადო რაოდენობა (ყველა თანამშრომლისთვის)	უნიფორმების გადაცემის აქტები.
<p><b>მიზანი 16. დაარსებულია ახალი პარტნიორობა დაინტერესებულ მხარეებთან, დონორებთან და მხარდამჭერ ჯგუფებთან და ვითარდება მიმდინარე ურთიერთობები.</b></p> <p><b>ინდიკატორი 16: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, სულ მცირე ექვსი ახალი თანამშრომლობა დამყარდა დაინტერესებულ მხარეებთან და დონორებთან, და დაინტერესებული მხარეები/დონორები აფასებენ თანამშრომლობას როგორც დამაკმაყოფილებელს.</b></p>		
ქმედებები	ინდიკატორები	შემოწმების საშუალებები
16.1 მრჩეველთა რეგიონული საბჭოს ჩართულობის ხელშეწყობა ეფექტური თანამონაწილეობითი მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად.	შეხვედრების რაოდენობა და დისკუსიის საკითხების სპექტრი.	შეხვედრების ანგარიშების დოკუმენტები.
16.2 ახლო თანამშრომლობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, ალგეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციასთან, დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დონორებთან, რათა მხარი დაუჭირონ ალგეთის დაცული ტერიტორიების მიმდებარე ზონის განვითარებას.	ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა და დოკუმენტები (მაგ., ურთიერთმეთანხმების მემორანდუმი), რომელიც წარმოაჩენს მჭიდრო კომუნიკაციას.	ადმინისტრაციის წლიური ანგარიშები და მეთანხმებების დოკუმენტები.
16.3 ალგეთის დაცული ტერიტორიების მიმდებარე თემების განვითარების გეგმების განხორციელების მხარდაჭერა.	პროექტების რაოდენობა ადმინისტრაციის ჩართულობით განხორციელებული განვითარების გეგმებიდან.	ინფორმაციები განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობის შესახებ.

**თავი VII. მენეჯმენტის გეგმის მონიტორინგი**

**მუხლი 51. მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მონიტორინგის მიზნები**

ალგეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის მონიტორინგის მიზნები შემდეგია:

- ა) მენეჯმენტის გეგმის ქმედებების განხორციელების პროგრესის შეფასება (განხორციელების მონიტორინგი);

ბ) გეგმის პროგრამების საერთო ეფექტურობისა და მათი ინტერვენციის ლოგიკის შეფასება ალგეთის დაცული ტერიტორიების გრძელვადიანი კონსერვაციის მიზნების ხელშესაწყობად, რათა ალგეთის დაცულ ტერიტორიებს მიეცეს საშუალება საფუძვლიანად გადაამოწმოს მენეჯმენტის გეგმა პირველი ექვსწლიანი არსებობის შემდეგ;

გ) ცვლილებების აღრიცხვა ბუნებრივ და სოციო-ეკონომიკურ გარემოში დროულად, რომელიც არ არის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის შედეგი (მაგალითად გამოწვეულია გარე ფაქტორებით), რათა უზრუნველყოს ალგეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის ადაპტაცია ამ ცვლილებების შედეგად;

დ) ალგეთის დაცული ტერიტორიების მიერ საქართველოს და სამხრეთ კავკასიის მთელი დაცული ტერიტორიების სისტემის ფარგლებში სწავლისა და გაუმჯობესების მენეჯმენტის ხელშეწყობა.

## **მუხლი 52. მენეჯმენტის გეგმის მონიტორინგის ღონისძიებები**

ადაპტაციური მენეჯმენტის მიღწევის მთავარი გზა ალგეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისთვის არის მონიტორინგის კომბინაცია მენეჯმენტის გეგმის რეგულარულ პრაქტიკულ რევიზიასთან ისევე, როგორც მისი განხორციელების ადაპტაცია სამწლიანი საოპერაციო გეგმების მეშვეობით და ყოველწლიური სამუშაო გეგმის შემადგენლობაში შეტანილი ქმედებების პრიორიტეტებით. საჭიროა თითოეული ინდიკატორის მონიტორინგი გრაფიკის მიხედვით (ზოგჯერ ყოველწლიურად, ზოგჯერ სხვა – როგორც წესი, უფრო ხანგრძლივად – დროის ინტერვალებით) და ყველა ქმედების შეფასება. შედეგები გათვალისწინებული უნდა იყოს საოპერაციო და ყოველწლიური გეგმის ფორმულირებისას ისევე, როგორც მენეჯმენტის გეგმის გადამოწმებისას ექვსი წლის შემდეგ. მენეჯმენტის მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სხვადასხვა ღონისძიებების (საშუალებების) კომბინაციას, რომელიც მოიცავს შემდეგს:

ა) ალგეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის მონიტორინგის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი და ადაპტური მენეჯმენტის ძირითადი საფუძველია ამ მენეჯმენტის გეგმის მუხლ 53-ში და მე-4 თავში განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების, პროგრამის მიზნების და ქმედებების ინდიკატორები. თითოეულ ამ ინდიკატორს აქვს განსაზღვრული ინტერვალი, რომლის დროსაც იგი საჭიროებს შეფასებას (ზოგიერთი ყოველწლიურად, ზოგიერთი წელიწადში ორჯერ და ზოგიც – უფრო ხშირი ინტერვალით). ალგეთის დაცული ტერიტორიების მონიტორინგის გეგმა ყველა ამ ინდიკატორების ნაკრებია, რომელიც მოიცავს მათი გადამოწმების საშუალებებსა და გაზომვის ინტერვალებს.

ბ) ალგეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკურ მონიტორინგსა და შეფასებას. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ხელს შეუწყობს ადაპტური მართვის ინფორმირებას, კერძოდ, ზემოთ აღწერილ "ა" ქვეპუნქტში მოცემულ მონიტორინგის სისტემას.

გ) ალგეთის დაცული ტერიტორიების მთავარი მონიტორინგის სისტემა – იხილეთ "ა" ქვეპუნქტში – შეიძლება შეივსოს ზოგად შეფასებაზე დაფუძნებული მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების საშუალებებით. "მენეჯმენტის ეფექტურობის მონიტორინგის ინსტრუმენტი" გამოიყენება მთელს მსოფლიოში დროთა განმავლობაში დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობის გაზრდაში მიღწეული პროგრესის მონიტორინგის მიზნით. ეს მექანიზმი საშუალებას იძლევა დროულად მოხდეს შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება და მიღწეული პროგრესის შეფასება, მაგრამ ეფუძნება სუბიექტურ გადაწყვეტილებას და არა ობიექტურად გადამოწმებულ ინფორმაციას. იგი საქართველოშიც განხორციელდა და წარმოადგენს მთელი ქვეყნის მასშტაბით დაცული ტერიტორიების შეფასების ანგარიშგების სისტემას. თავად შეფასების პროცესი შედარებით სწრაფი და მარტივია და რეგულარული ინტერვალებით შეიძლება განმეორდეს. ალგეთის ეროვნული

პარკის ადმინისტრაცია ყოველწლიურად ატარებს ამ პროცედურას, რაც მომავალშიც უნდა გაგრძელდეს ყოველ სამ წელიწადში ერთხელ (წინამორბედი საოპერაციო დაგეგმვა ან მენეჯმენტის გეგმის რევიზიები), რათა შეავსოს მონიტორინგის სისტემაზე დაფუძნებული ძირითადი ინდიკატორი, რომელიც ზემოთაა აღწერილი "ა" ქვეპუნქტში.

დ) ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მომზადებული სამწლიანი ოპერაციული და წლიური სამუშაო გეგმები დეტალური ყოველწლიური განხილვისთვის, განსაზღვრავენ თითოეულ ქმედებაში მისაღწევ შედეგებს. თითოეული საქმიანობის შედეგების მონიტორინგი ჩატარდება შესაბამისი ინდიკატორის ოქმის მიხედვით (წლიური ან უფრო დიდი ინტერვალით). შედეგები შეჯამდება შეფასების ანგარიშში, რომელიც გამოყენებული იქნება მომავალი საოპერაციო გეგმის ან წლიური სამუშაო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების დროს.

ე) საოპერაციო და წლიური სამუშაო გეგმები განსაზღვრავს განხორციელების ვალდებულებებს და მის მონიტორინგს/დოკუმენტირებას. ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი ინფორმირებულია მონიტორინგის ინდიკატორების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მათი სამუშაოს სპეციფიკურ სფეროსთან. ისინი მონაწილეობას იღებენ ინფორმაციის შეგროვებაში, რათა შეაფასონ სიტუაცია განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით. ტარდება რეგულარული სემინარები თანამშრომლებთან, რათა განიხილონ პროგრესი.

